ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 25 (18567) | კვირა, 30 იანვარი, 1983 წელი | ფასი 3 კაპ.

ელექტროენერგიის დაზოგვისათვის შეჯიბრების შედეგები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ განიხილეს საწარმოო გაერთიანებებს (კომბინატებს), მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებს შორის ელექტროენერგიის დაზოგვისათვის გაჩაღებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1982 წლის მესამე კვარტალის შედეგები. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მთელ რიგ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების, წარმოების ტექნოლოგიის დაცვისა და ახალი ტექნიკის დანერგვის მეოხებით რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა მესამე კვარტალში დაზოგეს 11,2 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია . ანუ ნორმირებული ხარჯის 0,4 პროცენტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ

საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის, საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“, თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივებმა.

ამასთანავე ზოგიერთმა საწარმომ, ორგანიზაციამ და გაერთიანებამ დაუშვეს ელექტროენერგიის გადახარჯვა 59,5 მილიონი კილოვატსაათის ოდენობით, მათ შორის რუსთავის ქიმიურმა ქარხანამ (დირექტორი — ამხ. გოგოლაძე, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. ჯინიუაშვილი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბერძენიშვილი), ზუგდიდის ფაიფურის ქარხანამ (დირექტორი — ამხ. ქუჩულორია, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. წურწუმია, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. ლოლუა), ჭიათურის მანგანუმის საწარმოო გაერთიანებამ (გენერალური დირექტორი — ამხ. აფაქიძე, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. ნორაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. გოგოსვანიძე).

ელექტროენერგიის დაზოგვისათვის გაჩაღებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს შემდეგი საწარმოთა კოლექტივები:

— თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა (დირექტორი — ამხ. ქარჩავა, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. ჩხიკვაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. ეკანია), საწარმოო გაერთიანება „საქნავთობი“ (გენერალური დირექტორი — ამხ. თევზაძე, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. აფაქიძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. ბუთაძე), თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა (დირექტორი — ამხ. თორდია, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. მაისურაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. ჩემბერჯიანი), რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა (დირექტორი — ამხ. ჭოხონელიძე, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. ჯახუა, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. ნაცვლიშვილი), რომლებსაც მიენიჭათ საპრიზო ადგილები და პრემიები.

აღინიშნა, რომ ელექტროენერგიის დაზოგვისათვის კარგად გაისარჯნენ შემდეგი საწარმოთა კოლექტივები:

— ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკა (დირექტორი — ამხ. ჭელიშვილი, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. ბაბუხადია, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. ხინშნიახიძე), საწარმოო გაერთიანება „თბილისხილწყალი“ (გენერალური დირექტორი — ამხ. ჯავახიშვილი, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. კენკაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. კვანტალიანი), ქუთაისის ღვინოფონის ქარხანა (დირექტორი — ამხ. ქაჯაია, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. მანგაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. გოგოლაშვილი), ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელი“, (დირექტორი — ამხ. კუპუხიძე, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. ჩაფიჩაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. მაღლაკელიძე), საწარმოო გაერთიანება „თბილისპური“ (გენერალური დირექტორი — ამხ. რატიანი, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. კახაია, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. კიკნაძე), ხალხური მხატვრული სარეწაოების საწარმოთა გაერთიანება „სოლანი“, (გენერალური დირექტორი — ამხ. უგულავა, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. რუტმანი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. ჩიკვილაძე).

ამასთანავე საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის, ვაჭრობის, მშენებლობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, საბინაოკომუნალური მეურნეობის სამინისტროების, აგრეთვე თბილისის ქარხანა „ელექტროშედუღების“ საწარმოო გაერთიანებების — „საქარამადნეულის“, „კავკასტრანსფორმატორის“ და „საქღვინომანქანის“, თბილისის კერამიკის კომბინატის ხელმძღვანელთა ყურადღება მიეპყრო ამას, რომ მათ ჯეროვნად არ ჩააბეს საქვეუწყებო საწარმოები და ორგანიზაციები ელექტროენერგიის დაზოგვისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საბჭოებს დაეკალათ გაფართოონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელთა კოლექტივებს შორის საგაბატაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, რათა ყველგან გაჩაღდეს ბრძოლა თითოეულ სამუშაო ადგილზე ელექტროენერგიის დაზოგვისათვის, განსაორაციელონ მორალური და მატერიალური წახალისების სხვადასხვა ღონისძიება, გამოიყენონ ამ მიზნით მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ოფიციალური

ინფორმაციები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სემინარ-ლექტორიუმის მეცხადინეობა

29 იანვარს მორიგი მეცადინეობა გამართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემების სემინარ-ლექტორიუმმა, რომელსაც ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. დავაჩქაროთ ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ყველა სფეროს — მართვის, დაგეგმვის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის მუშაობა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან განსაზღვრული ეს მოთხოვნა ლაიტმოტივი გახდა ამ მეცადინეობისა.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

მოხსენება თემაზე „სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სრულყოფა: ტერიტორიული, დარგობრივი და პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვის, პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შესახებ“ — გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ა. ჩხეიძემ.

გეგმების შემუშავებისა და რეალიზაციაში შრომითი კოლექტივების როლის გაძლიერების გამოცდილების შესახებ ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში ფოთის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ფოთის ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების უფროსმა ვ. ს. ტოსხოვმა და პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. გ. თენგიზიანმა.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობის შედეგები შეაჯამა ამხ. გ. ვ. კოლბინმა.

მეცადინეობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. შ. ენდელაძე.

(საქინფორმი).

საქმეთა გამოძახილი

თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის ინიციატივა „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში!“ ერთხმად აიტაცეს რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივებმა. დმიტროველთა სიტყვა და საქმე ერთია. საწარმოს წარმატებებისათვის, მისი ავტორიტეტის ამაღლებისათვის იბრძვის აქ მომუშავე თითოეული მუშაკი, ინჟინერი თუ ზეინკალი, ამწყობი თუ მტვიფრავი, ხარატი თუ მრავლდავი.

ჯემალ ლომსაძე ამ კოლექტივში 15 წელია შრომობს, იგი მალე დაიუფლა ამწყობ-ზეინკლის სპეციალობას და ახლა მოწინავე ბრიგადას ხელმძღვანელობს. ჯ. ლომსაძის ბრიგადა ყოველთვიურ დავალებას 120-125 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: ჯემალ ლომსაძე.

ვ. ბენგიშვილის ფოტო.

კარბი შრომითი მიჩვენებლებით დაიწყეს ხუთწლედის მესამე წელი თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანება „კრწანისის“ მშრომელებმა.

შრომითს მეტოქეობაში საუკეთესო შედეგებს აღწევს გამომშვები უბნის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნინო პანკოვა, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 130 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: ნ. პანკოვა.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

საფუძველია მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი

საამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა 1983 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით სამხრეთ ოსეთის მშრომელები თავიანთ მთავარ ამოცანად ისახავენ მნიშვნელოვნად აამაღლონ მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, და მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლისათვის. კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ კალდებულებებს:

მრეწველობის დარგში

სამრეწველო წარმოების გეგმა შეასრულონ კადამდე, 1983 წლის 28 დეკემბრისათვის. გამოუშვან მილიონ მანეთისაზე მეტი ზეგეგმითი სასაქონლო პროდუქცია, მათ შორის 400 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი.

გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან შემდეგი უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქცია:

მომინანქრებული სადენები — 30 ტონა; მამდიდრებელი მოწყობილობა — 30 ტონა; ლაქსაღებავი მასალები — 25 ტონა; სასაქონლო ბეტონი — 600 კუბური მეტრი; რკინა-ბეტონის ნაწარმი — 400 კუბური მეტრი; დაფხვნილი თიაკი — 1000 ტონა; შეფერილი ნაწარმი — 40 ათასი ცალი; ტრიკოტაჟის ნაწარმი — 90 ათასი ცალი; პურფუნთუშეული — 115 ტონა; ხორცის პროდუქტები — 76 ტონა.

სახალხო მეურნეობაში დავალების დამატებით დაზოგონ: ელექტროენერგია — 2 პროცენტი; ავტობენზინი — 2,5 პროცენტი; დიზელის სათბობი — 2,5 პროცენტი; ცემენტი — 1 პროცენტი; ლითონი — 2,5 პროცენტი; ხე-ტყე — 1,5 პროცენტი.

შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 0,5 პროცენტით. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1982 წელთან შედარებით გაადიდონ 10 პროცენტით და მეტად.

კვლავაც დანერგონ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების კოლექტიური ფორმები და შრომის ორგანიზაციის ამ ფორმით მომუშავე ბრიგადების რიცხვი გაზარდონ 45 პროცენტამდე. სამუშაო დროის დანაკარგები შემაცირონ 12 პროცენტით, ხოლო ხელის შრომის წილი — 5 პროცენტით.

რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის გზით მიიღონ წლიური ეკონომიკური ეფექტი 600 ათასი მანეთის ოდენობით. შემაცირონ წუნით გამოწვეული დანაკარგები, გაზარდონ სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვება და მისი ხვედრითი წილი სასაქონლო პროდუქციის საერთო მოცულობაში გაადიდონ 18 პროცენტამდე.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში

რკინიგზის ტრანსპორტზე ტვირთზიდვის წლიური გეგმა შეასრულონ 1983 წლის 25 დეკემბრისათვის. დაიჭირონ ვაგონების ბრუნვა ნორმასთან შედარებით 0,5 საათით და ამით დამატებითი ტვირთზიდვისათვის გამოათავისუფლონ 100 ვაგონი.

საავტომობილო ტრანსპორტზე წლიური გეგმა შეასრულონ 1983 წლის 27 დეკემბრისათვის; გეგმის გადაჭარბებით გადაზიდონ 20 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გადაიყვანონ 30 ათასი მგზავრი და მგზავრთბრუნვა გაზარდონ 350 ათასი მგზავრკილომეტრით.

კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს ხაზით შემოსავლისა და პროდუქციის მოცულობის გეგმა შეასრულონ 1983 წლის 28 დეკემბრისათვის.

კაპიტალური მშენებლობის დარგში

სასაქონლო-სამშენებლო პროდუქციის დადგენილი მოცულობა შეასრულონ ვადამდე, 1983 წლის 29 დეკემბერს. შეამცირონ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა.

ვადამდე, 1983 წლის 1 დეკემბრისთვის შეასრულონ საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემისა და საბინაო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების წლიური გეგმა.

შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 1,3 პროცენტით დადგენილი დავალების გადაჭარბებით.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება შემაცირონ 0,5 პროცენტით საგეგმო დავალების გადამეტებით.

გეგმის გადაჭარბებით 1983 წლის 7 ნოემბრამდე საექსპლოატაციოდ გადასცენ ხიდები: ცხინვალის რაიონის სოფელ ქსუისთან მდინარე ჭარებულაზე და ლენინგორის რაიონის სოფელ ჩურთთან მდინარე ჩურთულაზე.

სოფლის მეურნეობის დარგში

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში გაზარდონ 17 მილიონ მანეთამდე. 1983 წელს მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტთა სახელმწიფო შესყიდვის მოცულობა გაადიდონ: მარცვლეულისა — 2.950 ტონამდე, ხილისა —32.200 ტონამდე, ბოსტნეულისა — 6.925 ტონამდე, შაქრის ჭარხლისა — 15.850 ტონამდე, ხორცისა — 5.400 ტონამდე, რძისა — 12.025 ტონამდე, კვერცხისა — 7.800 ათას ცალამდე, მატყლისა — 390 ტონამდე.

მარცვლეულის მოსავლიანობა ჰექტარზე გაზარდონ 21 ცენტნერამდე, ხილისა — 90 ცენტნერამდე, ბოსტნეულისა — 150 ცენტნერამდე, შაქრის ჭარხლისა — 397 ცენტნერამდე, რათა წარმოების საერთო მოცულობა საზოგადოებრივ მეურნეობებში ვაჭარდონს: მარცვლეულისა — 12.500 ტონამდე, ხილისა — 16.700 ტონამდე, ბოსტნეულისა — 7.000 ტონამდე, შაქრის ჭარხლისა — 15.850 ტონამდე.

წლის დამლევამდე საზოგადოებრივ მეურნეობებში გაზარდონ: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა — 38,6 ათას სულამდე, აქედან ძროხისა — 11,6 ათას სულამდე, ღორისა — 10 ათას სულამდე, ცხვრისა — 110 ათას სულამდე.

საზოგადოებრივ მეურნეობებში ერთ ძროხაზე საშუალო წველადობა გაადიდონ 1.250 კილოგრამამდე, ერთ ცხვარზე მატყლის საშუალო ნაპარსი — 2,5 კილოგრამამდე, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო ჩასაბარებელი წონა გაადიდონ 235 კილოგრამამდე, ღორისა — 90 კილოგრამამდე.

საზოგადოებრივ მეურნეობებში აწარმოონ 4.800 ტონა ხორცი, 13.500 ტონა რძე, 265 ტონა მატყლი. ყოველ 100 ფურზე მიიღონ სულ ცოტა 80 ხბო, ყოველ 100 ნერგზე — 86 ბატკანი, ყოველ 100 ნეზვზე — 1.000 გოჭი.

საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების მოცულობა გაზარდონ: უხეში საკვებისა — 90 ათას ტონამდე, მათ შორის თივისა — 41 ათას ტონამდე, სენაჟისა — 28,5 ათას ტონამდე, სხვა უხეში საკვებისა — 20,5 ათას ტონამდე; წვნიანი საკვებისა — 38 ათას ტონამდე, მათ შორის სილოსისა — 30 ათას ტონამდე, ძირხვენებისა — 8 ათას ტონამდე.

მომსახურების სფეროში

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გეგმა შეასრულონ 30 დეკემბრისათვის. საზოგადოებრივ კვებაში საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულონ 10 ათასი მანეთის გადაჭარბებით, მათ შორის სამომხმარებლო კოოპერაციაში — 3 ათასი მანეთის გადაჭარბებით. საქონლებაკვლითი ოპერაციებისა და დეცენტრალიზებული შესყიდვის წესით საქონლის შეზიდვის გზით გამოძებნონ დამატებითი რესურსები 750 ათასი მანეთის, მათ შორის სამომხმარებლო კოოპერაციაში — 350 ათასი მანეთის ოდენობით.

საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საგეგმო დავალებები შეასრულონ 30 დეკემბრს და ოლქის მოსახლეობას გაუწიონ 6 ათას მანეთზე მეტი ღირებულების მომსახურება გეგმის გადაჭარბებით, ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნე ხარჯვის, ტექნიკური განახლების გზით მოგების გეგმა შეასრულონ 102 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 1,1 პროცენტით.

სახალხო განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის დარგში

აშენონ სასკოლო შენობები 262 მოსწავლისათვის, 140-ადგილიანი საბავშვო ბაღი, განაახლონ და გააფართოონ საოლქო სპორტული სკოლის შენობა.

განამტკიცონ სასწავლო კაბინეტების მატერიალური ბაზა, გააგრძონ სწავლების კაბინეტურ სისტემაზე სკოლების გადაყვანისათვის მუშაობა. სახელოსნოები, ლაბორატორიები და სასწავლო კაბინეტები შეავსონ 130 ათასი მანეთის სასწავლო-თვალსაჩინოების სახელმძღვანელოებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და ინვენტარით.

კურსებზე კვალიფიკაცია აუმაღლონ 680 მასწავლებელსა და სახალხო განათლების სხვა მუშაკებს. ოლქის სკოლებში გაგზავნონ 56 ახალგაზრდა სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკულტურელთა რიცხვი გაზარდონ 10.260-მდე, მოამზადან 6.250 „მშობ“ ნიშნოსანი, 6.020 თანრიგოსანი, მათ შორის 68 პირველთანრიგოსანი. მოამზადონ სპორტის 720 ნორჩი ინსტრუქტორი და 750 ნორჩი მსაჯი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს აფხაზეთის ასსრ ესპუბლიკისა და აზერბაიჯანის სსრ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მშრომელები.

სოციალისტური ვალდებულებანი განხილულია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შრომითს კოლექტივებში და მიღებულია პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

პროპაგანდის აქტუალური ამოცანები

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მოეწყო ბეჭდვითი სიტყვის, საინფორმაციო საგენტოების, სსრ კავშირის სახტელერადიოს, ცენტრალური იდეოლოგიური ორგანიზაციების მუშაკთა თათბირსემინარი პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმსა და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად პროპაგანდისტული მუშაობის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე. მოხსენებანი გააკეთეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ბ. ნ. პონომარიოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ამხ. მ. ვ. ზამიატინმა და ამხ. კ. ვ. რუსაკოვმა.

მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვი, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ს. ა. სკაჩკოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ამხ. ვ. პ. პროვოტოროვი და სხვები.

თათბირში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ამხანაგები ლ. შ. ზამიატინი, ბ. ი. სტუკალინი, ვ. ფ. შაური და ს. ვ. ჩერვონენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების პირველი მოადგილეები ამხ. ო. ბ. რახმანინი და ამხ. გ. ლ. სმირნოვი. თათბირ-სემინარზე გაიმართა ინფორმაციული და პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების გაზიარება.

(საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული სემინარ-ლექტორიუმის მეცხადინეობა

29 იანვარს მორიგი მეცადინეობა გამართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემების სემინარ-ლექტორიუმმა, რომელსაც ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. დავაჩქაროთ ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ყველა სფეროს — მართვის, დაგეგმვის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის მუშაობა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან განსაზღვრული ეს მოთხოვნა ლაიტმოტივი გახდა ამ მეცადინეობისა.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

მოხსენება თემაზე „სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სრულყოფა: ტერიტორიული, დარგობრივი და პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვის, პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შესახებ“ — გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ა. ჩხეიძემ.

გეგმების შემუშავებისა და რეალიზაციაში შრომითი კოლექტივების როლის გაძლიერების გამოცდილების შესახებ ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში ფოთის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ფოთის ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების უფროსმა ვ. ს. ტოსხოვმა და პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. გ. თენგიზიანმა.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობის შედეგები შეაჯამა ამხ. გ. ვ. კოლბინმა.

მეცადინეობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. შ. ენდელაძე.

(საქინფორმი).

ხუთწლედის მეტკიცე ნაბიჯები

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობის გადწყვეტილებებით ხელმძღვანელობენ, 1982 წელს — სსრ კავშირის 60 წლისთვის წელს უზრუნველყვეს სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

გასულ წელს საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მაჩვენებლებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

ძირითადი მაჩვენებლების მონაცემები	1982 წელი პროცენტებით 1981 წელთან შედარებით
წარმოებული ეროვნული შემოსავალი	104,4
მრეწველობის პროდუქცია — სულ	103,8
მათ შორის:	
წარმოების საშუალებათა წარმოება	102,4
მოხმარების საგნების წარმოება	106,3
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	95,2
ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	95,2
ძირითადი ფონდების ამოქმედება	103,0
კაპიტალური დაბანდებანი	107,0
მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი	102,0
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	102,3
სოფლის მეურნეობაში (საზოგადოებრივი წარმოება)	94,6
მშენებლობაში	103,4
მოგება სახალხო მეურნეობაში	106,4
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	101,5
ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში	104,1
მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი	102,0
კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება საზოგადოებრივ მეურნეობაში	106,5
მოსახლეობისადმი დახმარება და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან:	
სულ	104,8
ერთ სულ მოსახლეზე	104,5
სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	99,8
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	108,2
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა	96,4
მათ შორის სახელმწიფოსა და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე	105,9

გრძელდებოდა 16 სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამის განხორციელება. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დაინერგა **მეცნიერებისა** და **ტექნიკის** მიღწევები.

შარშან:

შეიქმნა ახალი ტიპის მანქანების, მოწყობილობის, აპარატების, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების ნიმუშები 50-ზე მეტი

სამრეწველო საწარმოებში დაიდგა მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზები 152

კომპლექსურ მექანიზაციისა და ავტომატიზაციაზე გადაყვანილია უბნები, საამქროები, წარმოებები 70-ზე მეტი

შეიქმნა აღრიცხვის, დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები 13

მათ შორის ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემები 2

გამოყენებულია სახალხო მეურნეობაში:

გამოგონებანი 200-ზე მეტი

რაციონალიზატორული წინადადებანი 25 ათასზე მეტი

გაიზარდა წარმოების **ეფექტიანობა.** საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით დაზოგა 50 ათასზე მეტი კაცის შრომა; დაიზოგა დაახლოებით 90 მილიონი მანეთის ნედლეული, მასალები, სათბობი, ენერგია და სხვა შრომის საგნები.

ამავე დროს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი დასახულ გეგმებზე რამდენადმე ნაკლები იყო, მთლიანად ვერ შესრულდა მატერიალური რესურსების ეკონომიის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის ცალკეული დავალებანი.

ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 390 მილიონ მახეოზე მეტით და 9300 მილიონ მანეთს გადააჭარბა (ფაქტობრივი ფასებით). მისი სამი მეოთხედი გამოყენებულია მოხმარებისათვის, ხოლო საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დანახარჯების გათვალისწინებით უშუალოდ ხალხის კეთილდღეობას მოხმარდა ეროვნული შემოსავლის ოთხი მეხუთედი.

მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1981 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 380 მილიონი მანეთით და 10 მილიარდ მანეთს მიაღწია (სამთოთმო ფასებით).

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობამ 1982 წელს 2107 მილიონი მანეთი შეადგინა.

ამოქმედდა 1820 მილიონი მანეთის **ძირითადი ფონდები.**

მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხვი სახალხო მეურნეობაში გაიზარდა 40 ათასით, კოლმეურნეობების საზოგადოებრივ მეურნეობაში დასაქმებულია 310,2 ათასი კოლმეურნე.

I. მრეწველობა

შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის დაზუსტებული წლიური გეგმა. წარმოების მატებამ 1981 წელთან შედარებით 3,8 პროცენტი შეადგინა. ქვემოთ მოყვანილია მონაცემები მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით:

მრეწველობის ცალკეული დარგები	1982 წლის წარმოების მოცულობა პროცენტებით 1981 წელთან შედარებით
ელექტროენერგეტიკა	102
სათბობის მრეწველობა	99,7
შავი და ფერადი მეტალურგია	100,2
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	105
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	111
ხე-ტყის, ხისდამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	106
საშენ მასალათა მრეწველობა	106
მსუბუქი მრეწველობა	104
კვების მრეწველობა	100,9
კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურ

ხუთწლედის მეკიცხე ნაბიჯები

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

ელექტროტექნიკური მრეწველობის	106	108	108
ჩარხთსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის	104	115	111
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა	103	106	104
საავტომობილო მრეწველობის	98	101	99,7
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის	103	93	107
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის	101	109	109
მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა	104	111	109
ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის	106	116	116
მსუბუქი მრეწველობის	97	111	113
კვების მრეწველობის	102	102	99,0
თევზის მეურნეობის	112	133	133
სამედიცინო მრეწველობის	92	102	102
გზათა	101	102	100,7
საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროების და უწყებების საწარმოები			
ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის	102	109	108
საშენ მასალათა მრეწველობის	101	105	106
მსუბუქი მრეწველობის	100,8	103	104
კვების მრეწველობის	102	102	100,9
მეღვინეობის სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“	102	89	89
ჩაის სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“	104	106	104
ხილბოსტნეულის მეურნეობის	107	135	120
ხორცისა და რძის მრეწველობის	100,8	96	98
დამზადების	105	103	101
მშენებლობის	102	106	107
სასოფლო მშენებლობის	100,4	113	109
საქსახსოფლტექნიკის	101	113	105
ადგილობრივი მრეწველობის	100,8	108	105
საბინაო-კომუნალური მეურნეობის	101	107	102

მანქანათმშენებლობის სამინისტროების, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, დამზადების, სასოფლო მშენებლობის სამინისტროთა, მეღვინეობის, სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ და ჩაის სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ საწარმოთა ხაზით, რომლებიც მთლიანად არიან გადაყვანილი ნორმატიული წმინდა პროდუქციის მიხედვით დაგეგმვასა და შეფასებაზე, მონაცემები მოყვანილია ამ მაჩვენებლის მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილია **ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მონაცემები:**

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მონაცემები:	პროდუქციის რეალიზაციის ნეტო გეგმის შესრულება პროცენტი	1982 წელი პროცენტობით 1981 წელთან შედარებით	
		წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
აფხაზეთის ასსრ	103	109	110
აჭარის ასსრ	104	108	106
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	100,5	112	107
ქალაქები:			
თბილისი	102	105	104
სოხუმი	103	105	106
ბათუმი	104	107	105
ცხინვალი	100,4	116	109
ქუთაისი	100,0	104	103
რუსთავი	92	105	104
ფოთი	106	114	113
გორი	101	107	109
ზუგდიდი	103	114	115
ჭიათურა	100,8	98	96
ტყიბული	105	110	108
გაგრა	104	100,5	103
წყალტუბო	103	107	106
ტყვარჩელი	100,0	76	78

მრეწველობაში გაუმჯობესდა წარმოების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები და პროდუქციის ხარისხი.

ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წილმა მის საერთო მოცულობაში შეადგინა 14 პროცენტი. ათვისებულია და უკვე სერიულად გამოდის 200-ზე მეტი დასახელების ახალ სახეობათა ნაწარმი.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ შეადგინა	წარმოებულია 1982 წელს	1982 წელი პროცენტობით 1981 წელთან შედარებით
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატსაათი	15,2	100,8
მანგანუმის მადანი, ათასი ტონა	2736	100,0
ფოლადის მილები, ათასი ტონა	523	101
მინერალური სასუქები (100% მასაზრდოებელ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა	90,4	111
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი (პირობითი ერთეული), ტონა	339	92
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები (კაპროლაქტამი), ათასი ტონა	18,6	88
ქიმიური ბოჭკო და ძაფი, ათასი ტონა	21,8	121
სინთეზური ამიაკი, ათასი ტონა	168	102
ცვლადი დენის ელექტროძრავები, ათასი კილოვატი	117	100,6
ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიონი მანეთი	36,3	118
ძალური ტრანსფორმატორები, ათასი კილოვატი	457	99,1
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთი	29,9	111
დაბალი ძაბვის ელექტროაპარატურა, მილიონი მანეთი	53,6	105
კვების, რძისა და თევზის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთი	24,2	110
მაგისტრალური ელმავლები, ათასი ცხენის ძალა	990	105
სატვირთო ავტომობილები, ათასი ცალი	21,3	97
ტრაქტორები, ცალი	1009	126
სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მილიონი მანეთი	8,8	76
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობათა მიერ დამზადებული ხე-ტყის გარდა), ათასი კუბური მეტრი	158	98
ქაღალდი, ათასი ტონა	41,5	109
დახერხილი ხე-ტყე, ათასი კუბური მეტრი	313	74
ხის ბურბუშელის ფილები, ათასი პირობითი კუბური მეტრი	24,8	101
ასაწყობი რკინაბეტონი, ათასი კუბური მეტრი	1817	105
რბილი სახურავი მასალები და იზოლი, მილიონი კვადრატული მეტრი	65,4	88
შეკერილი ნაწარმი, მილიონი მანეთი	440	100,0
ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, მილიონი ცალი	47,9	97
წინდები, მილიონი წყვილი	30	108
ტყავის ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	15,2	99,0
ხორცი სულ, ათასი ტონა	231	101
აქედან:		
სამრეწველო გამომუშავებისა	78,7	97
ძეხვეული, ათასი ტონა	32,1	97
სასურსათო თევზეული, მათ შორის თევზის კონსერვები, მილიონი მანეთი	53,1	117
ერბო-კარაქი, ტონა	1249	100,6
მოუხდელი რძის პროდუქცია, რძეზე გადაანგარიშებით, ათასი ტონა	188	103
მარგარინის პროდუქცია, ათასი ტონა	36,2	103
მცენარეული ზეთი, ათასი ტონა	8,6	95
საკონდიტრო ნაწარმი, ათასი ტონა	56,4	106
ნატურალური ჩაი, ათასი ტონა	67,8	122

კონსერვები, მილიონი პირობითი ქილა	603	119
მათ შორის ხილბოსტნეულის	584	120
ყურძნის ღვინო, მილიონი დეკალიტრი	23,4	104
შამპანური, მილიონი ბოთლი	18,9	106
მინერალური წყლები, მილიონი 0,5-ლიტრიანი	371	117
ფაიფურ-ქაშანურის და მაიოლიკის ჭურჭელი, ათასი მანეთი	2499	67
სორტული ჭურჭელი (მინის და ბროლისა), მილიონი მანეთი	23,6	113
ფერადი გამოსახულების ტელევიზორები, ცალი	4100	—
ავეჯი, მილიონი მანეთი	121	104

გადაჭარბებით შესრულდა ნავთობის, გაზის, ქვანახშირის, მანგანუმის მადნის მოპოვების, ელექტროენერგიის, ცვლადი დენის ელექტროძრავების, ლითონსაჭრელი ჩარხების, დაბალი ძაბვის ელექტროაპარატურის, ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მათი სათადარიგო ნაწილების, კვების, რძისა და თევზის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობისა და მისი სათადარიგო ნაწილების, მაგისტრალური ელმავლების, მაგნიტური სადგურების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სამასალე მერქნის, ასაწყობი რკინაბეტონის, სახალხო მოხმარების საქონლის, მათ შორის ბამბის ქსოვილების, შეკერილი ნაწარმისა და წინდების, ტრიკოტაჟის საცვლისა და ზედა ტრიკოტაჟის, ტყავის ფეხსაცმლის, სასურსათო თევზეულის, ძეხვეულის, ერბო-კარაქის, კონსერვების, მოუხდელი რძის პროდუქციის, მარგარინის პროდუქციის, ნატურალური ჩაის, სორტული ჭურჭლის, ტელევიზორების წარმოების წლიური გეგმა.

ამასთანავე მრეწველობის მუშაობაში იყო ნაკლოვანებანი. ზოგიერთი დარგის საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ შეასრულეს პროდუქციის გამოშვების საერთო მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, თვითღირებულების შემცირების, დაგროვების გეგმები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების დავალებანი. მთელ რიგ სახეობათა პროდუქციის წარმოების გაფართოებას აბრკოლებდა შრომის ორგანიზაციის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ნაკლოვანებანი, ტრანსპორტის არარიტმული მუშაობა, შეფერხებანი საწარმოთა ენერგომომარაგებაში.

არ შესრულებულა შავი ლითონების მზა ნაგლინის, ფოლადის მილების, მინერალური სასუქების, სამჭედლო-საწნეხი მანქანების, სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, ქიმიური ბოჭკოსა და ძაფის, სატვირთო ავტომობილების, ავტომობილის სათადარიგო ნაწილების, კომკერა ამწეების, მუყაოს, ცელულოზის, ქაღალდის, ყურძნის ღვინის, მინერალური წყლების, ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭლის, ავეჯის და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა. სრულად ვერ უზრუნველყოფდნენ დადებული ხელშეკრულებებისა და შესასრულებლად მიღებული განწესების შესაბამისად მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდებას ქიმიური, ელექტროტექნიკური, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის, სასუქების, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი, მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის, მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროთა საწარმოები.

II. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, ასრულებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, გასული წლის ამინდის რთულ პირობებში, გაზრდილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველზე მიაღწიეს მრავალი სახეობის პროდუქციის წარმოების ზრდას.

საგრძნობლად გაიზარდა მარცვლეულის მოსავალი 1981 წელთან შედარებით.

მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა წითელწყაროს, სიღნაღის, მარნეულის, გარდაბნის, ახალქალაქის, აბაშის, ხობის, საგარეჯოს, გორის, თეთრიწყაროს, ზუგდიდის, ბოლნისის რაიონებმა.

აღებულია 112,4 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი, (საფაბრიკო), 414,6 ათასი ტონა კარტოფილი, 570 ათასი ტონა ბოსტნეული, 584,9 ათასი ტონა ხილი, 538,6 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 743 ათასი ტონა ყურძენი, 246,8 ათასი ტონა ციტრუსის ნაყოფი.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკის, მახარაძის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის რაიონების მეჩაიეებმა.

წარმატებით გაართვეს თავი ციტრუსის დამზადების გეგმის შესრულებას აჭარის ასს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, მახარაძის, ლანჩხუთის, ზუგდიდის რაიონების მეურნეობებმა.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამზადებენ თესლს საგაზაფხულო თესვისათვის, ეწევიან ტექნიკის შეკეთებას, ტენსაგროვებელ რწყვას, გააქვთ მინდვრად მინერალური და ორგანული სასუქები. ამასთანავე მთელ რიგ მეურნეობებში ეს სამუშაოები ნელა წარმოებს.

პროდუქტული პირუტყვის სულადობამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა. (ათასი სული):

პირუტყვის სულადობა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება	1982 წლის 1 იანვრისათვის	1983 წლის 1 იანვრისათვის
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	1.588,9	1608,1
აქედან ძროხა	634,4	645,4
ღორი	980,9	995,8
ცხვარი და თხა	2109,2	1940,7

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:	1981 წ.	1982 წ
ხორცი (ნაკლავის წონა), ათასი ტონა	147,4	152,7
რძე, ათასი ტონა	645,9	665,2
კვერცხი, მილიონი ცალი	664,8	721,1
მატყლი (ფიზიკური წონა), ტონა	6328	5540

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვამ შეადგინა:		
პირუტყვი და ფრინველი ათასი ტონა:	**1981 წ.**	**1982 წ.**
ცოცხალი წონა	148,9	150,6
ნაკლავის წონა	93,6	95,0
რძე, ათასი ტონა	282,2	286,6
კვერცხი, მილიონი ცალი	490,4	529,1
მატყლი (ჩასათვლელი წონა), ტონა	6678	6219

პირუტყვისა და ფრინველის, რძის შესყიდვის გეგმები შესრულდა, კვერცხის და მატყლისა — გადაჭარბებით არის განაღდებული.

კოლმეურნეობათა მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 537,4 მილიონი მანეთი და გადაამტა 1981 წლის დონეს.

ვითარდება აგროსამრეწველო ინტეგრაცია და სამეურნეობათაშორისო კოოპერაცია. 1982 წელს რესპუბლიკაში მოქმედებდა 346 სამეურნეობათაშორისო საწარმო-ორგანიზაცია და 10 საწარმოო აგროსამრეწველო საწარმო.

სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული დარგების მართვის გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკის ყველა რაიონში შექმნილია აგროსამრეწველო გაერთიანებანი.

გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება სამრეწველო, სამშენებლო და სხვა საწარმო-ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობებში, აგრეთვე მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში. ფართოვდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ მოქალაქეებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით პირუტყვის სუქებისა და რძის შესყიდვის პრაქტიკა.

აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების განვითარებას მოხმარდა დაახლოებით 600 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება, მათ შორის სოფლის მეურნეობას — 516 მილიონი მანეთი, აქედან ამ დარგის საწარმოო ობიექტების მშენებლობისათვის გამოიყო 480 მილიონი მანეთი.

სოფლის მეურნეობას გაეგზავნა 2359 სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი, 2988 ტრაქტორი, რომელთა საერთო სიმძლავრე 200 ათას ცხენის ძალას შეადგენს, 180 მარცვალსალღები კომბაინი, 3515 ტრაქტორის გუთანი, 1249 კულტივატორი, 962 სათესელა, 373 სილოსსალღები კომბაინი, 630 ტრაქტორის სათიბელა, 427 წნეხ-ამკრები, 29 დასაწვიმებელი მანქანა და დიდძალი სხვა ტექნიკა.

მიწოდებულია (100 პროცენტ მასაზრდოებელ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით): მინერალური სასუქები — 218 ათასი ტონა, ანუ 46,5 ათასი ტონით მეტი 1981 წელთან შედარებით, ქიმიური საკვები დანამატები — 300 ტონა.

ძირითად სახეობათა ტექნიკის, მინერალური სასუქებისა და ქიმიური საკვები დანამატების მიწოდების გეგმა შესრულებულია.

III. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ტვირთბიდვისა და ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის ტვირთბრუნვას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

ტვირთბიდვა, ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის ტვირთბრუნვა და მგზავრთბრუნვა	შესრულდა 1982 წელს	1982 წელი პროცენტობით 1981 წელთან შედარებით
ტვირთბიდვა, მილიონი ტონა		
რკინიგზის ტრანსპორტი	37,6	96,4
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	164,4	101,9
ნავთობსადენები და ნავთობპროდუქტსადენები	3,7	103,9
ტვირთბრუნვა, მილიარდი ტონაკილომეტრი		
რკინიგზის ტრანსპორტი	12,8	92,1
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	2,7	105,6
ნავთობსადენები და ნავთობპროდუქტსადენები	1,4	100,0

ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ 1982 წელს 62,8 მილიარდი ტონაკილომეტრი შეადგინა და 1981 წელთან შედარებით 6,2 პროცენტით შემცირდა. **მგზავრთბრუნვამ** მიაღწია 14,7 მილიარდ მგზავრკილომეტრს და გაიზარდა 3,8 პროცენტით.

რკინიგზის ტრანსპორტმა შეასრულა ტვირთზიდვის საერთო გეგმა, მათ შორის: ქვანახშირის, შავი ლითონების, ნავთობის ტვირთისა; ამასთანავე არ შეუსრულებია მადნის, მინერალური სასუქების, სამშენებლო ტვირთის, ცემენტის გადაზიდვის გეგმა.

გაიზარდა ლოკომოტივის მწარმოებლობა და კონტეინერებით ტვირთის გაგზავნა. გადიდდა სატვირთო ვაგონის ბრუნვის საშუალო დრო, ვაგონების მოცდენა დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების დროს. მთლიანად ვერ შესრულდა ტვირთბრუნვის გეგმა.

საზღვაო ტრანსპორტმა გადაჭარბებით შეასრულა საზღვაგარეთ და შიდა ნაოსნობაში გადაზიდვა-გადაყვანის გეგმა. დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 101,9 პროცენტით, მათი მოცულობა 1981 წელთან შედარებით შემცირდა 8,8 პროცენტით.

საერთო სარგებლობის **საავტომობილო ტრანსპორტმა** შეასრულა ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთბრუნვის დაწესებული დავალებანი. ცენტრალიზებული გადაზიდვის მოცულობა გადიდდა 3,8 პროცენტით, მგზავრთა გადაყვანისა — 4,4 პროცენტით, მსუბუქი ტაქსმოტორების ფასიანი გარბენი — 5,8 პროცენტით.

ნავთობსადენმა ტრანსპორტმა უზრუნველყო ნავთობის გადატუმბვისა და ტვირთბრუნვის საგეგმო მოცულობა. ნავთობპროდუქტსადენი ტრანსპორტით ვერ შესრულდა ნავთობპროდუქტების გადატუმბვისა და ტვირთბრუნვის გეგმები.

გაზსადენებით სასაქონლო გაზის მიწოდება წლის მანძილზე ათობით მილიონი კუბური მეტრით გაიზარდა.

საჰაერო ტრანსპორტმა გადაჭარბებით შეასრულა მგზავრთა გადაყვანის, მგზავრთბრუნვის, გადაზიდვის საერთო მოცულობისა და სახალხო მეურნეობის დარგების ავიამომსახურების სამუშაოთა გეგმები. გადაყვანილია 2,4 მილიონი მგზავრი. საავიაციო-ქიმიური სამუშაოები სოფლისა და სატყეო მეურნეობაში შესრულდა 460 ათას ჰექტარ ფართობზე.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა შეასრულეს პროდუქციის მოცულობის გეგმა და მიაღწიეს მოცულობის მატებას 4,8 პროცენტით.

დავალებათა შესაბამისად გაიზარდა სატელეფონო არხების სიგრძე საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის ხაზებზე, სატელეგრაფო ქსელის კომუტაციისა და მონაცემების გადაცემის კვანძების ტევადობა, საკვანძო საფოსტო საწარმოების კომპლექსური მექანიზაცია. გაფართოვდა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სადგურების ქსელი. ტელევიზორები აქვს რესპუბლიკის მოსახლეობის 90,5 პროცენტს; მოსახლეობის 75,4 პროცენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ორი პროგრამა, მათ შორის ცენტრალური ტელევიზიის პირველი პროგრამა.

IV. კაპიტალური მშენებლობა

1982 წელს **ამოქმედდა 7 ახალი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო.** ფართო მასშტაბით ხორციელდებოდა მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება. საექსპლოატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, სკოლამდელთა დაწესებულებანი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები და სოციალურ-კულტურული დანიშნულების სხვა ობიექტები.

ამოქმედდა:

ელექტროენერგეტიკაში — 35 კილოვატი და მეტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები — 133,6 კილომეტრი, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზები — 1916,4 კილომეტრი, სატრანსფორმატორო სადგურები ქვესადგურები — 742 ათასი კილოვოლტამპერი სიმძლავრისა;

ნავთობის მრეწველობაში — სადაზვერვო და საექსპლოატაციო ბურღვის 12 ნავთობის ჭაბურღილი;

შავ მეტალურგიაში — აგლომერატისა და ფოლადის საწარმოო სიმძლავრენი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, მანგანუმის მადნის მოპოვების სიმძლავრენი „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანებაში; გახსაწმენდი ნაგებობანი რუსთავის მეტალურგიულ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებში;

ფერად მეტალურგიაში — ტყვია-თუთიის მადნის მოპოვების სიმძლავრენი კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროსამმართველოში;

ქიმიურ მრეწველობაში — კაპრონის ძაფის საწარმოო სიმძლავრენი რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში;

მანქანათმშენებლობაში — მაგისტრალური ელმავლების გამოშვების სიმძლავრენი საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელსა“ და დიზელის ძრავებისა — ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში;

საშენ მასალათა მრეწველობაში — კერამიკული მოსაპირკეთებელი ფილების საწარმოო ახალი სიმძლავრენი თბილისის კერამიკის კომბინატში და ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობებისა—ახალქალაქის პოლიგონზე;

მსუბუქ მრეწველობაში — უქსოვადი ფართლეულის, შეკერილი ნაწარმის, ზედა ტრიკოტაჟის საწარმოო სიმძლავრენი.

აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში — მოქმედთა მწყობრში ჩადგა ჩაის ფაბრიკები: ზობსა და ცხაკაიაში, ზუგდიდის ჩაის საწონი ფაბრიკა, ბაბუშერის „პეპსიკოლას“ ქარხანა, ზესტაფონის ხილეული წყლების ქარხანა, მუკუზნის ღვინის ქარხანა, ტყვარჩელის პურის ქარხანა, ამოქმედდა ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების, ხილ-კენკრის, ღვინის გამოშვების, ჩაისა და ყურძნის გადამუშავების, მოუხდელი რძის პროდუქციის, რძის, ყველის საწარმოო ახალი სიმძლავრენი.

სოფლის მეურნეობაში აშენდა მეცხოველეობის საღგომები, მექანიზებული ფერმები და პირუტყვის. შესანახი კომპლექსები 20,4 ათასი სულისათვის და საფრინველეები — 63,3 ათასი ფრთისათვის, მეფრინველეობის ფაბრიკები — 151,5 ათასი მოქცეულისათვის და სახორცე მმართულების 3,82 მილიონი ფრთა ფრინველისათვის წელიწადში, 3,8 ათასი კუბური მეტრი ტევადობის სასილოსე და სასენაჟე ნაგებობანი.

საექსპლოატაციოდ არის მიღებული 10,5 ათასი ჰექტარი სარწყავი და 6,9 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწები. გასარწყავებულია 20 ათასი ჰექტარი საძოვრები.

კაპიტალურმა დაბანდებამ სახალხო მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე შეადგინა მილიარდ 980 მილიონი მანეთი.

სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის საერთო მოცულობამ 1982 წელს შეადგინა 992 მილიონი მანეთი. სახელმწიფო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ შესრულებული **საჯარო სამუშაოების** მოცულობა გაიზარდა 4 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერება გადიდდა 3,4 პროცენტით. გადამეტებულია დაგეგმილი ზრდის ტემპი.

ინერგებოდა მშენებლობისა და სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროგრესული მეთოდები, გაფართოდა ეფექტიანი კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენება.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან ვერ არის მიღწეული კაპიტალური დაბანდების სათანადო კონცენტრაცია. ცალკეულ დარგებში არ არის უზრუნველყოფილი მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის მასშტაბის ზრდა. მთლიანად ვერ შესრულდა მთელი რიგი საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმები. ზოგიერთმა სამშენებლო ორგანიზაციამ დაუშვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის შემცირება 1981 წელთან შედარებით; მათი ხარისხი ხშირად დაბალია.

V. ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება

1982 წელს კვლავინდებურად ხორციელდებოდა მეთერთმეტე ხუთწლედისათვის დაგეგმილი სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ **მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიურმა ფულადმა ხელფასმა** შეადგინა 151,5 მანეთი 1981 წლის 148,5 მანეთის ნაცვლად.

კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 6,5 პროცენტით.

მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო 2 მილიარდ 34 მილიონი მანეთი **დახმარება და შეღავათები,** ანუ 93,6 მილიონით მეტი, ვიდრე 1981 წელს. ამ დახმარებისა და შეღავათების გათვალისწინებით მუშა-მოსამსახურეთა თვიური ხელფასი 208-დან 213 მანეთამდე გაიზარდა.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ხორციელდებოდა შრომის პირობების დაცვისა და გაუმჯობესების, სამუშაო დროის უფრო სრული გამოყენების ღონისძიებანი.

ხორციელდებოდა ბავშვიანი ოჯახებისადმი სახელმწიფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებანი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გაფართოვდა სახელმძღვანელოებით უფასო უზრუნველყოფა. 1982 წლის 1 სექტემბრიდან 1-ლი — მე-7 კლასების მოსწავლეებთან ერთად სახელმძღვანელოები უფასოდ მიიღეს აგრეთვე მე-8-9 კლასების მოსწავლეებმა.

მიმდინარეობდა სახელმწიფო შინაგანი სესხის ოპერაციების დაფარვა.

მშრომელთა **ანაბრები შემნახველ სალაროებში** გადიდდა 120 მილიონი მანეთით.

სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვამ** 5 მილიარდ მანეთს გადაამეტა.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში **ცალკეულ სახეობათა საქონლის გაყიდვის ზრდას** ახასიათებს შემდეგი მონაცემები.

ცალკეული საქონლის დასახელება	გაიყიდა 1982 წელს პროცენტობით 1981 წელთან შედარებით
პურ პროდუქტები	105
ხორცი და ხორცპროდუქტები	93
თევზი და თევზპროდუქტები	101
ერბო-კარაქი	68
მცენარეული ზეთი	126
მარგარინის პროდუქცია	105
მოუხდელი რძის პროდუქცია	106
ყველი	88
კვერცხი	110
შაქარი	84
საკონდიტრო ნაწარმი	102
ჩაი	104
კარტოფილი	102
ბოსტნეული	109
ხილი და ციტრუსი	108
ტანსაცმელი, საცვალი და ქსოვილები	100,8
ტრიკოტაჟის ნაწარმი	103
წინდები	99,3
ტყავის ფეხსაცმელი	109,0
ფაიფურ-ქაშანურის, მაიოლიკისა და მინის ჭურჭელი	99,4
საპონი და სინთეზური სარეცხი საშუალებანი	108
ავეჯი	99,4
მაცივრები	98,7
მათ შორის 200 კუბური დეციმეტრი და მეტი ტევადობის კამერიანი	101
სარეცხი მანქანები	108
ელექტრომტვერსასრუტები	109
საათები	102
ფოტოაპარატები	102
რადიომიმღები მოწყობილობანი	94
ტელევიზორები	97
მათ შორის ფერადი გამოსახულებისა	129
მაგნიტოფონები	103
ველოსიპედები და მოპედები	100,3
მოტოციკლები და მოტოროლერები	104
მსუბუქი ავტომობილები	112

თუმცა გადიდდა საქონელბრუნვა, მაგრამ ზოგიერთ სასურსათო და სამრეწველო საქონელზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ჯერ კიდევ სრულად ვერ კმაყოფილდებოდა.

მოსახლეობისათვის ფაფუალი **საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა** 1981 წელთან შედარებით გაიზარდა 8,2 პროცენტით, აქედან სოფლად — 11,6 პროცენტით; გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული.

დაფინანსების ყველა წყაროს სახსრებით **აშენებულია 25,4 ათასი ახალი კეთილმოწყობილი ბინა, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს მილიონ 624 ათას კვადრატულ მეტრს, აქედან სოფლად — 420 ათას კვადრატულ მეტრს. საბინაო პირობები გაუმჯობესა 148 ათასმა კაცმა.** მთლიანად რესპუბლიკაში ამოქმედდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 19,5 ათასი მოსწავლისათვის, სკოლამდელთა დაწესებულებანი — 6,2 ათასი ბავშვისათვის, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები — 2,5 ათასი მოსწავლისათვის, საავადმყოფოები — 742 ავადმყოფისათვის და ბევრი სხვა ობიექტი. სოფლად აშენდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 12 ათასი მოსწავლისათვის, სკოლამდელთა დაწესებულებანი — 2 ათასი ბავშვისათვის.

საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გეგმები მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია, ამავე დროს ცალკეულმა სამინისტროებმა და უწყებებმა ეს გეგმები ვერ შეასრულეს.

მიმდინარეობდა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობა. გაზიფიცირებულია 19,9 ათასი ბინა, აქედან სოფლად — 6,4 ათასი ბინა. ქალაქ ცხინვალში დაიწყო ტროლეიბუსის მიმოსვლა.

სრულდებოდა ბუნების დაცვის დასახული პროგრამა. ამ მიზნით გაღებულმა სახელმწიფო კაპიტალურმა და

29 იანვარი

ულტიმატუმი

ფაქტები
მოვლენები

საკლესიო
იუწყება

საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმში

სრულყოთ
საბჭოების მუშაობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და მუდმივი კომისიების მთელი საქმიანობა კვლავაც მოხმარდება სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში საბჭოების როლის გაძლიერების შესახებ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, პარტიის მოთხოვნათა შესრულებას. მთავარ ყურადღებას მიაყრობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ეკონომიკური და სოციალური განვითარების უფრო სწრაფი ტემპის უზრუნველყოფას, მშრომელთა სიზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებას.

ეს ითქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს 1982 წლის საქმიანობის შედეგები და მისი ძირითადი ღონისძიებების 1983 წლის გეგმა. პრეზიდიუმმა კრიტიკულად შეაფასა გასულ წელს შესრულებული მუშაობა და მოიწონა ძირითად ღონისძიებათა გეგმა, რომელთა მიზანია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფა, კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის გაზრდა.

ამ გეგმის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი გახდა კონკრეტული ღონისძიებანი ამ მიზანთა შესასრულებლად, რომლებიც დასახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმმა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VI სესიამ. პრეზიდიუმმა განიხილა ეს ღონისძიებანი და დაავალა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს თავიანთ სესიებზე, სოფლის ყრილობებზე განიხილონ საკითხი საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კოლექტივების მუშაობაში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განმტკიცების ორგანიზებულობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ.

დისციპლინისა და პასუხისმგებლობის განმტკიცების პრობლემები მთელი სიმწვავით დაყენეს სხდომაზე რესპუბლიკის ზოგიერთ საბჭოთა და სხვა სახელმწიფო ორგანოში მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლაში კანონიერების უხეში დარღვევების შესახებ საკითხის განხილვის დროსაც. სრულიად დაუშვებლად მიიჩნიეს სახალხო დეპუტატთა მთელი რიგი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისა და სამართალდაცვითი ორგანოების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მუქთახორების წინააღმდეგ ბრძოლაში კანონმდებლობის ნორმებისა და მოთხოვნების მკაცრი დაცვისადმი. მათ უნდა უზრუნველყონ ადგილებზე კანონებისა და ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელება, მუქთახორების გამოვლენის, აღრიცხვის, შრომამოწყობისა და აღზრდის საქმეში.

გასული წლის დეკემბერში ამომრჩევლებთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების შეხვედრის შედეგების განხილვისას აღინიშნა, რომ მთლიანად ეს შეხვედრები ორგანიზებულად, მაღალ დონეზე გაიმართა. შეხვედრებზე გამოითქვა მრავალი მნიშვნელოვანი წინადადება, რომელთა მიზანია დისციპლინის შემდგომი განმტკიცება, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ბრძოლის გაძლიერება.

პრეზიდიუმმა დაავალა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ამომრჩევლებთან შეხვედრების მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკის შემდგომი სრულყოფის მიზნით. სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების ხელმძღვანელებს დაევალათ დროულად განიხილონ შეხვედრების დროს შემოსული ყველა წინადადება და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მათი რეალიზაციისათვის.

სხდომაზე მთელი პრინციპულობით იმსჯელეს 1982 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობაზე. განიხილეს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხთა კომისიის ინფორმაცია, თუ როგორ ხორციელდება რესპუბლიკაში მეთერთმეტე ხუთწლეულისათვის დასახული ღონისძიებანი ჰაერისა და წყლის აუზების გაჯანსაღების, ტაშენი ნაგებობების მშენებლობისა და ქალაქებში ხმაურის შემცირების ღონისძიებანი, მთელი რიგი სხვა საკითხები (საქინფორმი).

ჟურნალების ახალი ნომრები

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 1

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ 1983 წლის პირველი ნომერი.

ნომერი იხსნება საახალწლო მილოცვით ჟურნალის მკითხველებისადმი.

ჟურნალში თქვენ გაეცნობით წერილებს: ს. რუხაძის — ავამაღლოთ აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის ეფექტიანობა; თ. ხაზარაძის — მაღალი შემართებითა და ორგანიზებულობით; ვლ. თორდუას და ი. გობეჩიას — სოფელი ღონიერია..., რ. ფანცხავას — მეჩაიეთა თავდადებული შრომის შედეგი; შ. გაფრინდაშვილის — ერთი სოფლის ინტელიგენცია.

რუბრიკით „ეკონომიური ეკონომიკა“ დაბეჭდილია ო. ვაშაკიძის — პარტიის კურსი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ყოველმხრივი ინტენსიფიკაციისაკენ.

ანშლაგით „1922-1982. 60 დიადი წელი“ გამოქვეყნებულია კ. ელიზბარაშვილის — სოფლის დემოგრაფიული საკითხები.

განყოფილებაში „სოფელი და მეცნიერება“ თქვენ გაეცნობით რ. დარჩიაშვილის — შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პრაქტიკული ფორმები მევენახეობაში.

რუბრიკით „სპეციალისტის ტრიბუნა“ დაბეჭდილია წერილები: ზ. კახიძისა და შ. ობოლაძის — სასურსათო პროგრამა გვავალებს; ს. კოკლამაზაშვილის — თუშური ჯიშის ბატკნის პროდუქტიული თვისებები ნერბების წვალისას.

„საქართველოს ბუნება“ № 1

გამოვიდა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმოო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს ბუნების“ პირველი ნომერი.

რუბრიკით „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი“ დაბეჭდილია ა. კარბელაშვილის წერილი — მეგობრობის გზაზე.

ანშლაგით „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულია გ. ქუთათელაძის — ასე ბინძურდება ატმოსფერო.

განყოფილებაში „გამოცდილება“ თქვენ გაეცნობით ა. ნავდარაშვილის წერილს — ვიბრძოლოთ ნათელი ტყეების აღდგენისათვის.

ამავე ნომერში დაბეჭდილია წერილები: თ. აბულაძის — თბილისის ბუნების დაცვის ზოგიერთი პრობლემა; ა. დოხნაძის — პარტიული ორგანიზაცია — წარმატებათა ავანგარდში; ი. გაგუას — მოძრავი ლაბორატორია; ა. ჯანაშვილის და ს. ჯორბენაძის — ნიკო კეცხოველი; გ. მარადელის — ერთი საქმე, ერთი მიზანი; ნ. ფაილოძის — კვალი კეთილი.

● იუგოსლავია
ომქმედების ერთიანობის განსამტკიცებლად

ბელგრადი. როგორც ტანიუგის საგენტო იუწყება, აქ გაიმართა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც განიხილეს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის იდეურ-პოლიტიკური საქმიანობის აქტუალური საკითხები.

სხდომაზე, ნათქვამია ცნობაში, აღინიშნა, რომ იუგოსლავიაში სოციალისტური თვითმართველობის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განახორციელებს კომუნისტთა კავშირი ერთიან იდეურ-პოლიტიკურ კურსს. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ორგანიზაციათა საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებაში მისი წამყვანი როლის გაძლიერებას, მოქმედების ერთიანობის განმტკიცებას, ბრძოლას საჭირბოროტო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის.

სხდომაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი ბოლო წლებში საკმარის ყურადღებას არ უთმობდა იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. ამან გამოიწვია ის, რომ პარტიაში იდეური მერყეობა წარმოიშვა. იუგოსლავიის საზოგადოების ცალეული ფენები გულგრილად ეკიდებიან საზოგადოებრივ საქმეებს, თავს იჩენს განკერძოებულობა ვიწრო რეგიონალურ ფარგლებში. არის ცდები, ძირი გამოუთხარონ სოციალისტური რევოლუციის ძირითად მონაპოვრებს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი ჩამოაშორონ იდეოლოგიური ბრძოლის სფეროს.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირმა, ხაზგასმულია სხდომაზე, გადაჭრით უნდა უკუაგდოს ეს რეაქციული მოქმედება. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის წამყვანი როლის განმტკიცების მიზნით უნდა გაუმჯობესდეს სოციალისტური შეგნების აღზრდისათვის პარტიის მუშაობის მეთოდები. ეწევიან რა იდეოლოგიურ ბრძოლას, კომუნისტებმა უნდა დაისახონ გარკვეული და მკაფიო მიზნები. პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხთა განხილვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მშრომელთა მიერ საწარმოო და საზოგადოებრივ საქმიანობაში შეძენილი გამოცდილება. ეს არის მშრომელთა ფართო მასებთან კომუნისტთა კავშირის უერთიერთობის განმტკიცების გზა.

● აშშ
მცდარი პოლიტიკა

ვაშინგტონი. ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის დარგში რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკა გააკრიტიკეს მოსმენების დროს სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში. კომისიაში განიხილეს შეიარაღებისადმი კონტროლისა და განიარაღების საკენტოს დირექტორის პოსტზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების შუმდივი წარმომადგენლის ყოფილი მოადგილის კ. ედელმანის კანდიდატურა.

როგორც ხაზგასმით აღნიშნა თავის გამოსვლაში სენატორმა ჯ. პელმა, სულ უფრო მეტ ამერიკელსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მცხოვრებს გამოაქვს დასკვნა, რომ რეიგანის ადმინისტრაცია ესწრაფვის არა ბირთვული იარაღისადმი კონტროლის დაწესებას, არამედ გაძალებული შეიარაღების გაძლიერებას, ამასთან ცდება, თუ ფიქრობს, რომ აქ მოგება შეიძლება.

იმის საილუსტრაციოდ, რომ რეიგანის ადმინისტრაციას არ სურს განახორციელოს გამალებული შეიარაღების ალაგმვის ქმედითი ღონისძიებანი, სენატორმა მოიყვანა შეიარაღებისადმი კონტროლისა და განიარაღების საკენტოს მაგალითი, რომლის საქმიანობა ბოლო ორი წლის მანძილზე მკვეთრად შეიკვეცა. მისი თანამშრომლების რიცხვი და ბიუჯეტი შემცირდა.

მეოკლედ
ტელეტაიპის ლენტიდან

● დამასკო

მდინარე იორდანის ოკუპირებულ დასავლეთ ნაპირზე მდებარე ქალაქ ნაბლუსში არ ცხრება არაბი მოხალხლეობის მანიფესტაციები ისრაელის მიერ არაბეთის მიწა-წყლის ოკუპაციის წინააღმდეგ. მრავალრიცხოვანი შეტაკების დროს, რომლებიც მოხდა დემონსტრანტებსა და ისრაელებს შორის, იუწყება ვიფას საგენტო, რამდენიმე კაცი დაიჭრა, რამდენიმე ათეული პალესტინელი დაპატიმრებულია. ოკუპანტებმა გამოიყენეს იარაღი, ცრემლსადენგაზიანი ყუმბარები, წყალსატყორცნი დანადგარები და ხელკეტები. ქალაქის ბევრ ქუჩაში გაჩნდა არაბთა მიერ აღმართული ბარიკადები.

● მანაგუა

ნიკარაგუის ქალაქ სანსებასტიან-დე-გალში გაიმართა ნინოტეგის დეპარტამენტში გლეხთა ჯგუფზე კონტრრევოლუციური ბანდის ამასწინანდელი დანაშაულებრივი თავდასხმის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი. პონდურასიდან ნიკარაგუის ტერიტორიაზე შემოღწეულმა სომოსელებმა ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინეს სატვირთო მანქანას, რომელსაც ახლომდებარე სოფლების 20-მდე მცხოვრები გადაეყავდა. ბანდიტური აქციის შედეგად დაიღუპა ხუთი კაცი, მათ შორის რვა წლის გოგონა.

მიტინგის მონაწილეებმა გულისწყრომით დაგმეს რეიგანის ადმინისტრაცია, რომელიც სამხედრო დახმარებას უწევს კონტრრევოლუციონერებს.

● ოტავა

ქალაქ ტრენტონში (ონტარიოს პროვინცია) გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომელიც მიეძღვნა „ანადაში „კოსპას-სარსატის“ საერთაშორისო კოსმოსური პროგრამის რეგულარული განხორციელების დაწყებას. იგი გათვალისწინებულია უბედურებაში მოხვედრილი თვითმფრინავებისა და ხომალდების ეკიპაჟების ხსოვნისათვის.

● გფრ
უმრავლესობა წინააღმდეგია

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეთა უმრავლესობა ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგოს საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტები. ჟურ. მოწმობს მიუნხენის „სინუსის“ ინსტიტუტის მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემები.

გამოკითხულთა 61 პროცენტმა განაცხადა, რომ თუ ევროპაში ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე შეთანხმებას ვერ მიაღწევენ მომდინარე წლის შემოდგომამდე, ამერიკის რაკეტების განლაგება განუსაზღვრელი ვადით უნდა გადაიდოს.

ფოტოფაქტი

პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმუშევრობამ დასავლეთევროპაში 10 პროცენტს გადააჭარბა. უმუშევართა ყველაზე მეტი რიცხვი აღინიშნა ბელგიაში — ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 14,8 პროცენტზე მეტი. „ზედმეტ ადამიანთა“ უმრავლესობა 17-24 წლის ასაკის ახალგაზრდობაა.

* * *

სურათზე: ეს ახალგაზრდები ბრიუსელში „საერთო ბაზრის“ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შტაბ-ბინასთან შეიკრიბნენ, რათა მოსახლეობის დასაქმება მოეთხოვათ.

საკლესიო ფოტო.

● იაპონია
მთავრობის მეთაურის მილიტარისტული პოზიცია

ტოკიო. იაპონიის მთავრობა კვლავაც გააძლიერებს მეცადინეობას ქვეყნის სამხედრო პოტენციალის განმტკიცებისათვის, განაცხადა პარლამენტში პრემიერ-მინისტრმა ი. ნაკასონემ. მან დაადასტურა, რომ ტოკიო ემზადება „კონტროლი დაუწესოს“ შორეულ აღმოსავლეთში ძირითად საერთაშორისო სრუტეებს, რისთვისაც ისინი „იაპონის თავდაცვის სფეროს ნაწილად“ გამოაცხადა.

პრემიერ-მინისტრმა ვაშინგტონთან ტოკიოს ურთიერთობას „სამხედრო კავშირი“ უწოდა და აღნიშნა, რომ არ აპირებს მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან ერთნაირი ურთიერთობის დამყარების პოლიტიკის განხორციელებას და კვლავაც ძირითად ყურადღებას მიაპყრობს კავშირ-ურთიერთობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ი. ნაკასონემ პირდაპირ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს მისი ამასწინანდელი განცხადება „ჩაუძირავ ავიამზიდად“ იაპონიის გადაქცევის აუცილებლობის“ შესახებ მიზნად ისახავს ცხადყოს, რომ ტოკიო მზადაა გაძლიეროს თავისი სამხედრო პოტენციალი.

პრემიერმა კვლავ დაადასტურა, რომ ესწრაფვის გადასინჯოს ქვეყნის კონსტიტუციის სამშვიდობო დებულებანი, რომლებიც იაპონიას უკრძალავს იყოლიოს შეიარაღებული ძალები და მიმართოს ომს, როგორც საერთაშორისო დავის გადაწყვეტის საშუალებას.

ი. ნაკასონეს მილიტარისტულმა გამონათქვამებმა პარლამენტში ოპოზიციის დეპუტატთა მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია. მათ გადაჭრით დაგმეს მმართველი წრეების მიერ აღებული სამხედრო მზადების გაძლიერების კურსი.

იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს თავმჯდომარემ მ. კანეკომ განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობა, რომელიც ქადაგებს ვაშინგტონთან სამხედრო კავშირის განმტკიცებასა და შეიარაღებული ძალების გაძლიერებას, ქვეყანას საშიშ გზაზე აყენებს. მან აღნიშნა, რომ ამგვარი პოლიტიკა იაპონელი ხალხის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, და ხაზი გაუსვა, რომ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება განიარაღება და მშვიდობა, და არა ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერება. მ. კანეკომ მთავრობას მოსთხოვა ყოველი ღონე იხმაროს, რათა არ დაუშვას ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური ტრაგედიის გამეორება, მიაღწიოს ბირთვული იარაღის აკრძალვას.

ნაკასონეს განცხადებანი იმის თაობაზე, რომ მზადაა იაპონიის კუნძულები გადააქციოს „ჩაუძირავ ავიამზიდად“ და ჩაკეტოს საერთაშორისო საზღვაო სრუტეები, მოწმობს, რომ მისი მთავრობა ფარვატერში მიჰყვება ამერიკის ადმინისტრაციის გლობალური სტრატეგიას, განაცხადა იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. კოიანაგიმ. მან აღნიშნა, რომ ამგვარი გამონათქვამების მიზანია საბოლოოდ უარი თქვან ყველა ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნების საგარეო-პოლიტიკურ კურსზე. სოციალისტმა დეპუტატმა მკაცრად დაგმო აგრეთვე მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება პენტაგონისათვის ხელმისაწვდომი გახადონ თანამედროვე იაპონური სამხედრო ტექნოლოგია.

მდგომარეობა ლიბანში
აგრესორი ამკაცრებს რეჟიმს

ბეირუთი. ისრაელი აგრესორები ამკაცრებენ ლიბანის ოკუპირებულ რაიონებში დამყარებულ რეჟიმს. ქვეყნის სამხრეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, მეორე დღეა არ წყდება ჩხრეკა-დაპატიმრებანი ქალაქ საიდსა და მის გარეუბნებში, ზაპრანში, ტირში, ნაბათიისა და მრავალ სხვა დასახლებულ პუნქტში. ლიბანის წინააღმდეგობის ძალების გაქტიურებასთან დაკავშირებით ძლიერდება ოკუპანტების მიერ ლიბანის მიწა-წყალზე შექმნილი სამხედრო ობიექტების დაცვა, გაიზარდა ისრაელთა ჯარების რიცხვი, რომლებიც გამოყოფილი არიან სამხრეთ ლიბანში ისრაელის სამხედრო ადმინისტრაციის რეზიდენციის, შტაბების, საწყობების, საწყობების დასაცავად. ყველგან იქმნება საკონტროლო-გამშვები პუნქტები. სამხედრო ვერტმფრინავები განუწყვეტლივ უთვალთვალებენ ადგილმდებარეობას.

სიონისტი დამპყრობლები სასტიკ რეპრესიულ აქციებს აწყობენ ლიბანის სხვადასხვა რაიონში. ისრაელის საინჟინრო-სასაზღვრო ქვედანაყოფებმა დაიწყეს საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ნაგებობების ლიკვიდაცია, რომლებიც ისრაელის ჯარების კონცენტრაციის ადგილების მახლობლად მდებარეობენ.

ჩხრეკა-დაპატიმრება მოეწყო ბექაას ველის დასახლებულ პუნქტებში. მარტო ორ სოფელში — ელ-ბირასა და არ-რაფიდში დაპატიმრებულია 20-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები.

ინტერვენტები კვლავ აძლიერებენ სამხედრო ყოფნას და ამაგრებენ საბრძოლო პოზიციებს ლიბანის აღმოსავლეთში ფრონტის ხაზის გასწვრივ. როგორც „ალ-საფირი“ იუწყება, იქ გადაყვანილია ახალი მექანიზებული ნაწილები, არტილერია და ტანკები. ადგილობრივი პრესის ცნობების თანახმად, ისრაელს ტანკების, ჯავშანტრანსპორტერების, თვითმავალი საარტილერიო დანადგარების, ჯარისკაცებითა და ოფიცრებით საგზე მანქანების კოლონები მოწინავე პოზიციებისაკენ მიემართებიან. ბექაას ველისა და ლიბანის სხვა რაიონების თავზე განუწყვეტლივ დფრინავენ ისრაელის სადაზვერვო თვითმფრინავები. მათ შორის უპილოტო ჯაშუში თვითმფრინავები.

როგორც აბერუთის გაზეთი „ალ-ანგარი“ წერს, ოკუპანტები შეუდგნენ სამხრეთ ლიბანში ადრეული შეტყობინების ახალი რადიოსალოკაციო სადგურის შექმნას. მისი მშენებლობა მიმდინარეობს მაღლობზე რას ალ-ბაიიის დასახლების რაიონში, იმ ზონაში, რომელსაც. კონტროლს უწევენ ლიბანში განლაგებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალები.

ამერიკა-ეგვიპტის მოლაპარაკება

ვაშინგტონი. თეთრ სახლში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანისა და ეგვიპტის პრეზიდენტის ჰ. მუბარაქის მოლაპარაკება, **რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბუში, სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში უ. კლარკი.** ჰ. მუბარაქი შეხვდა აგრეთვე თავდაცვის მინისტრს კ. უაინბერგერს, დაგეგმილია მისი შეხვედრები ფინანსთა მინისტრთან დ. რიგანთან და ვაჭრობის მინისტრთან მ. ბოლდრიჯთან. მოლაპარაკებაზე განიხილეს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა და ამერიკა-ეგვიპტის ორმხრივი ურთიერთობა, მათ შორის სტრატეგიული დარგში.

შეხვედრის შემდეგ კორესპონდენტების წინაშე გამოსვლისას რ. რეიგანი ამტკიცებდა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები ესწრაფვოდეს „მშვიდობას“ ახლო აღმოსავლეთში, ლიბანის „ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას“. მაგრამ, როგორც ცნობილია, სწორედ ვაშინგტონის მხარდაჭერით ჩაიდინა ისრაელმა ბარბაროსული აგრესია ამ ქვეყნის წინააღმდეგ, ახლა კი ჯიუტად უარს ამბობს გაიყვანოს მისი ტერიტორიიდან თავისი ჯარები. ისრაელი აგრესორებისადმი ამერიკის უპირობო მხარდაჭერის კამუფლაჟია რეიგანის ეგრეთ წოდებული „სამშვიდობო ინიციატივაც“, რომელიც განიხილეს თეთრ სახლში გამართულ მოლაპარაკებაზე.

შეხვედრის დროს, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელმა თქვა, ეგიპტის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი უპირატესობა უნდა მიენიჭოს ლიბანიდან „ისრაელის ჯარების გაყვანის შესახებ შეთანხმების“ მიღწევას და მკაცრად გააკრიტიკა ტელ-ავივის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე დასახლებების შექმნას. ამასთან, როგორც ამერიკის ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, მუბარაქმა დაადასტურა, რომ ეგვიპტის ისრაელთან მშვიდობიან ხელშეკრულებას რომელიც კემპ-დევიდის სპეციალური გარიგების ფარგლებში დაიდო.

მოლაპარაკებაზე განიხილეს აგრეთვე ეგვიპტისადმი ამერიკის ეკონომიკური დახმარების საკითხები, რომლის მოცულობა ახლა წელიწადში მილიარდ დოლარს შეადგენს. ოფიციალურ პირთა განცხადებების თანახმად, მიღწეულია სიერთო თანხმობა ამ პროგრამის განხორციელების დაჩქარების შესახებ.

● გოლივია
წაუყენეს ახალი ბრალდებები

ლა-პასი. ბოლივიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახალი ბრალდებები წაუყენა სამხედრო დამნაშავეს, საფრანგეთის ქალაქ ლიონის ყოფილ გესტაპოს შეფს კლაუს ბარბიეს (იგივე კლაუს ალტმანი). მას ბრალად დებენ, რომ გენერალ ლ. გარსია მესის სამხედრო რეჟიმის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს მან ბოლივიაში იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, არგენტინისა და ბრაზილიის ნეოფაშისტთაგან შექმნა ნახევრადსამხედრო ბანდები, რომლებიც მასობრივ რეპრესიებს აწყობდნენ დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ.

რამდენიმე დღის წინათ ბარბიეალტმანი დააპატიმრეს ბოლივიის ხელისუფლებამ თაღლითობის ბრალდებით, რომლის შედეგადაც მან ზარალი მიაყენა სახელმწიფო სამთამადნო კორპორაციას.

კლაუს ბარბიეს ბრალი მიუძღვის ათასობით ფრანგის, მათ შორის წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ჟან მულენისა და სხვა ფრანგი პატრიოტების დაღუპვაში.

საფრანგეთის მთავრობამ და საზოგადოებრივობამ არაერთგზის მოითხოვა გადაეცეთ ფაშისტი დამნაშავე. მაგრამ ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მდგომი დიქტატორული სამხედრო რეჟიმები, რომელთა მრჩეველიც იგი იყო წამებისა და რეპრესიების განხორციელებაში, უარს ამბობდნენ შეესრულებინათ ეს მოთხოვნა.

შარმან ბოლივიის ხელისუფალთ ამავე მოთხოვნით მიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ. ორი კვირის წინათ ბოლივიის გენერალურმა პროკურორმა თხოვნით მიმართა ქვეყნის უმაღლეს სასამართლოს განიხილოს საკითხი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლებისათვის ლიონის „ჯლატის“ გადაცემის შესახებ.

სახელმწიფო საზღვარი: სიფხიზლე და თავდადება

1

შემთხვევა გზაზე

სატვირთო მანქანის მძღოლის ამირან ანაშვილისათვის ესოდენ ჩვეულებრივად დაწყებული რეისის დამთავრებამ — კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სასაზღვრო რაიონის ცხოვრებაში ნვრილმანები არ არსებობს.

...დღე ილეოდა. ბობოქარ მდინარესა და ტყიან გორაკებს შორის მოქცეულ გზას გაპყურებდა ჩაფიქრებული ამირანი და უცბად ვერ შეამჩნია გზის პირას მდგომი ადამიანი. იგი სპორტულად იყო ჩაცმული, მხარზე ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული. მოახლოებული „ურალი“ რომ დაინახა, ახალგაზრდა კაცი გზაზე გადაუდგა და ხელის ქნევა დაიწყო. ამირანი იძულებული გახდა დამუხრუჭებინა.

— რას მივარდები თვლებში?

— შეშინდა, ვერ შემამჩნევდით. არავინ არ გამიჩერა მანქანა, მე კი ქალაქში მეჩქარება, მეგობრის ქორწილში.

— რა გაეწყობა, დაჯექი...

უცნობმა საჯდომზე დააგდო ჩანთა, რომელშიც ლითონმა გაინკარუნა, და მარჯვედ შეხტა კაბინაში. იგი ენანყლიანი თანამგზავრი აღმოჩნდა, ცდილობდა ეხუმრა, საუბარი გაეგბა. მაგრამ ამირანი ყველა კითხვაზე მოკლედ უპასუხებდა: „დიახ“, „არა“. თავისთვის კი ფიქრობდა, ეს კაცი საქორწილოდ გამოწყობილს არ ჰგავსო. საჩუქრის ნაცვლად რაღაც რკინები მიაქვს. მალე შლაგბაუმია, მესაზღვრეებთან მოთათბირებაა საჭიროო.

რამდენიმე ჭილომეტრის შემდეგ გამოჩნდა საკონტროლო-გასატარებელი პუნქტი. „ურალი“ გასასვლელი ავტომანქანების კოლონის კუდში მოექცა. როცა წინ შვიდიოდე ავტომობილი დარჩა, უცნობმა უცებ გააღო კარი, გადახტა კაბინიდან და ისე მოკურცხლა ტყისკენ, რომ ჩანთის ნაღებაც კი დააკლო.

ამირანი უყოყმანოდ გამოედევნა. სწრაფად დაეწია გაქცეულს და უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა საშიშროება — უცნობის ხელში დანამ იელვა. მარჯვე ხერხი და დამრღვევი

2

მინაზე გაიშხლართა. ამირანის დასახმარებლად კი უკვე მოიჩქაროდა მესაზღვრეთა რაზმი.

დამრღვევის დაკავებისას გაბედული და მტკიცე მოქმედებისათვის ავტომატრანსპორტო სანარმოს საუკეთესო მძღოლი, სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული ა. ანაშვილი დაჯილდოვეს მედლით „ნარჩინებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში“.

ე. კარაპელინი.
უფროსი ლეიტენანტი.

დათოვლილ ველზე

საგუშაგოზე ბინდი ჩამოწვა, ყინულის თხელი ფენით დაიფარა დათოვლილი ველი. სერჟანტი ნ. ჩეპასოვი, უმცროსი სერჟანტი ა. სოლომატინი და რიგითი ვ. ბიბიჩი ფრთხილად მიაბიჯებდნენ, ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. აგერ კვალ-საკონტროლო ზოლი — ადამიანმა თუ გაიარა, მაშინვე შეამჩნევ. თუმცა უბანს ზედმინევნით იცნობენ, მაგრამ მაინც ყურადღებით ათვალიერებენ საზღვრის მისადგომებს. უეცრად სიჩუმე დაარღვია სიგნალმა საგუშაგოდან...

თუ რა მოხდა შემდეგ, თვით მესაზღვრეები გვიამბობენ.

0 საათი 15 წუთი. სერჟანტი ნიკოლოზ ჩეპასოვი (დაამთავრა კოსტრომის ოლქის გალიჩის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, მუშაობდა ზეინკალ-გამომცდელად საექსკავატორო ქარხანაში. საგუშაგოს მესაზღვრეთა განწესების უფროსთა საბჭოს თავმჯდომარეა. დაჯილდოებულია „საბჭოთა არმიის ნარჩინებულის,“ და „სასაზღვრო ჯარების II თანრიგის ნარჩინებულის“ ნიშნებით):

3

— სასაზღვრო სამსახური ყოველგვარ მოულოდნელობას გაჩენს. ერთ-ერთ უბანზე საზღვრის დარღვევის ცნობა რომ მივიღეთ, რამდენიმე წუთს ვფიქრობდი, როგორ უნდა ემოქმედა განწესს, სად შეიძლებოდა გამოჩენილიყო დამრღვევი. ამ დღეებში გვქონდა გამოცდილების გაზიარების სალაზმო, მთხოვეს გამოვსულიყავი. თანამებრძოლებს ვუამბე, როგორ ნარმმართავ სამსახურს როგორც განწესის უფროსი. და ახლა, სანამ ბიჭებს ამოცანას დავუსახავდი, გავიფიქრე: ჩირად არ ღირს შენი სიტყვები, თუ ახლა შეცდომას დაუშვებთ. გავეშურეთ გზის გადასაჭრელად. კილომეტრი გავ



ეს-ეს არის დავამთავრე ლექსების ახალი წიგნი „იმედის ზვრები. აქ წარმოდგენილ ლექსებს სნორედ იმ წიგნიდან ვთავაზობ მკითხველს. მასში შესული ნაწარმოებები დაყოფილია რკალებად: „გამარჯვებული რესპუბლიკა“, „აფხაზური რვეული“, სვანური რვეული“, „სხვადასხვა რვეულებიდან“. აქვეა პოემა „ულიანოვსკში ცხრა საათია“, განვაგრძობ მუშაობას წიგნზე „ხსოვნა“. ეს იქნება პროზაული ნაწარმოებების კრებული, რომელშიც ვცადე გამეცოცხლებინა დიდ სამამულო ომში საბჭოთა მეომრების შემართება, გადმომეცა ჩემი ფრონტული შთაბეჭდილებანი.

ბევრს ვმუშაობ მხატვრული თარგმანის დარგშიც. გამომცემლობა „ირისთონმა“ მკითხველს მიაწოდა ჩემ მიერ შედგენილი და თარგმნილი „ოსური ჩანგი“. მასში სამხრეთ ოსეთის პოეტების ლექსებთან ერთად გამოქვეყნდა ჩრდილოეთ ოსეთის თანამედროვე პოეტთა საუკეთესო ნიმუშები. ვამთავრებ მუშაობას თარგმანების კიდევ ერთ წიგნზე. „ბარიკადაზე მდგარი სიმღერა“ — ასე მინდა დავარქვა ამ წიგნს, რომელშიც შევა კ. მარქსის, ფ. ენგელსის, კ. ლიბკნეხტის, ხო ში მინის, აგოსტინო ნეტოს, პატრის ლუმუმბას, აფრიკის, ლათინური ამერიკის, ევროპის ქვეყნების მუშათა, კომუნისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მეორე მსოფლიო ომის დროინდელი წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა პოეტური ნაწარმოებების თარგმანები.

ვმუშაობ პოემაზე, რომლის თემაა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა. მასში მოთხრობილი იქნება XVII საუკუნის მეორე ნახევარში თეიმურაზ მეორის ელჩობაზე რუსეთში.

ასეთია ამ ხუთწლედის პირველი წლების ჩემი შემოქმედებითი მოსავალი.

ხმა საქართველოდან

სვანეთის ხალდეს გააყრყოლებს ლიბანის ხალდე,
ხევსურთა შატილს ლიბანელთა სტკივა შატილი,
ლიბანის ზეცას შემორტყმია წყვდიადის სალტე,
ჯალათს ნაჯახი აღუმართავს ავი ქადილით.

ცა დილით უნდა მერცხლის ფრთებით იხაზებოდეს,
საღამოს — მთვარის ვერცხლის თმებით იქარგებოდეს,
ვინ შეუსია იმ მზიან ცას ამერიკული ბომბდამშენები, ცხრა ზღვის აქეთ გამორიყული...
ლიბანის ველზე კვნესის ხალდე, ჭერდანგრეული,
სვანეთის მთებში ჭერმაღალი ხალდე გუგუნებს,
ხევსურთ შატილი განრისხებულ ბოლმით ბუხუნებს:
— იმ შატილელთა სისხლისმღვრელო, იყავ წყეული!

ისევ მოდიან ჩემს მაშულში კაკლის ტევრები

ბულბულის სტვენა კაკლის მწვანე ტევრებიდან თუ მომისმენია...

იმ ჩემს სოფელში ბლომად იდგნენ ბერი კაკლები,
მათს ქვეშ მწვანეზე ირწეოდნენ ჭრელი აკვნები,
ფრთიანდებოდნენ თამარები და ირაკლები.
მთვარე ვერცხლის ძაფს ნაზად პქსოდა მწვანე ლეროზე,
ფოთლებთან სიო ჩურჩულებდა განაზებითა
და ბულბულები ჯადოსნური ხმებით მღეროდნენ,
კაკლების მწვანე საკონცერტო დარბაზებიდან.
გაპქრნენ კაკლები, ბულბულებიც გადახიზნულან,
აღარ ჩამესმის საოცარი მათი გალობა...
ო, გულო ჩემო, გიხაროდეს — არ დანისლულა
იმ უკეთილეს გოლიათთა უანგარობა.
ყველა სიკეთის დაფასების დადგა დღეები,
ისევ მოდიან ჩემს მამულში კაკლის ხეები,
აკვნის ხეები, საბულბულე სამოთხეები!

ᲞᲣᲠᲝ!

1.

იმ კედლის ძირში,
სიგარეტის ნამწვავთა შორის,
ნამუსრევეს შორის
გადაგდებულს ვხედავ „ბუხანკას“...
იმ ფაქნურის მიღმა
კაცი ცოლ-შვილს
ბოლით თუ ჭორით
სმენას უქარგავს,
კარგ ცხოვრებას ფასს არ უკარგავს.
და მე ჩამესმის ექო წარსულ დღეთა მწუხართა:
პური სიცოცხლის ცხოველ ძალას შეეწონება!..
...ნაგავთან ერთად
მტვრიან „ბუხანკას“
ცოცხი წამოსდო მეეზოვემა...
ამტკივდა ომისდროინდელი ჩემი შიმშილი,
აკივლებული ნისლიან და სისხლიან გზებზე.

2.

არ იცის როგორ სუნთქავს მარცვალი ხნულში,
რომელიც ოფლის წვიმით უნდა მოირწყას.
ის კაცი პურს პყრის...
— გითხრა, მაცალე!
ის მაინც პურს პყრის...
— შესდექ, მოიცა!!!
აყვირდა ომისდროინდელი ჩემი შიმშილი,
ლანდად ქცეული სისხლიან და ნისლიან გზებზე.

3.

ნაგვის მანქანაში პურს პყრიან ვედროებით
(ასფალტის მტკეპნელი
გუშინდლამ დაქორწინდა).
....სავსენი
ტკივილით,
ნყურვილით,
ვედრებით
აკივლდნენ თვალები შიმშილით დახოცილთა,
ნამცეცის ნახვა სიზმარშიც რომ დანატრებიათ...

4.

ვედროდან ასფალტზე
გადმოვარდა ნატეხი პურის.
ბელურა ჩიტმა მაინც დაკენკოს!..
მიაპყარ ყური,
უსმინე გულით
არსობის პურისთვის დაღვრილი სისხლის,
არსობის პურისთვის დაღვრილი ოფლის
ზარმაღალ სამრეკლოს:
— პურს გაუფრთხილდი — სიცოცხლის ფუძეს,
მიწის ყველაზე ღონიერ ძეძუს,
ყველაზე მართალს, ჯანსაღს და მდიდარს,
არსებობ რითაც,
შვილებს ზრდი რითაც —
პურს გაუფრთხილდი!

სინათლის ტოტი

როს ჩვენი წიგნის ფაბრიკის გვერდით
ჩავივლი,
გული რეკავს ზარულად —
ის სტამბა — ვახტანგ მეექვსის ღმერთი —
არც დანგრეულა, არც დაბზარულა.
ფა არც ანთიმოზ ივერიელის —
სპქმით მაღლის და სულით ძლიერის —
წარმოგზავნილი უნგროვლახელის
ვერ წაუშლია დრო-ჟამს სახელი.
რა უხვად დატოტიანებულა
ის სტამბა — ელვა სულის ქართულის,
ჩასშუქებია გულს გზისებურად
მამულის ძარღვში სისხლად ჩართული.
გაუდგამს ფესვი მას ღონიერი
ქართულ სულში და ქართულ მიწაზე,
მისით რუსთველის სუნთქვა ძლიერი
ხალხს აღბეჭდია გულის ფიცარზე
მისით აფრინდა სიტყვა — ფრინველი
და ყველა ჭერქვეშ ბუდეს იკეთებს,
სულთამპყრობელი,
გულთამხილველი
ბარტყობს სინათლედ, სიბრძნედ, სიკეთედ.

როცა გადაშლილ კარგ წიგნს უზიხარ,
ნამდვილი განძის მფლობელი გქვია.
როგორც დიდსა და ლამაზ მუსიკას,
ვისმენ საბეჭდი მანქანის გრიალს.
და როცა ჩვენი წიგნის ფაბრიკას
ჩავუვლი,
გულის მესმის ძახილი:
— სინათლის ტოტი ვერვინ დადრიკა,
მზისკენ მიიწევს კვირტებდაყრილი!

* * *

არ მიგრძვნია თავი გერად,
თუმც ობლობის სევდა მდევდა...
ვაი, ვერა გავიგე რა
როგორ მომიშუადღევდა.
სიმღერის ხეს იქნებ მწვანე
კვირტი ისევ გამოებას...
ასე მძაფრად, ასე მწვავედ
რათ ვგრძნობ მოსაღამოვებას?!.

ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲐᲓ ᲖᲘᲓᲔ ᲡᲐᲥᲕᲛᲔᲜᲝ ᲢᲕᲘᲠᲗᲘ

გახსოვდეს: ქვეყნად მოსული ერთხელ
მარადიული ხალხის შვილი ხარ,
მაღლა გეჭიროს სინათლის კვერთხი
და წარმავლობის ნუ გეშინია.
უღვთოდ ჩაკალი სული ბოროტი,
ერთგულად ზიდე საქვეყნო ტვირთი,
ბოლომდის დარჩი — დიახ, ბოლომდის! —
ადამიანად შენთვის და სხვისთვის.
რაც უნდა გნავდეს ტკივილის ცეცხლი,
რაც უნდ გილსინდეს,
რაც უნდა მოხდეს,
შენ სიკვდილამდე უნდა იცოცხლო,
შენ სიკვდილამდე არ უნდა მოკვდე!

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ ᲡᲐᲥᲕᲘᲜᲢᲐᲠᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საკვინტარი საყოველთაო

ᲤᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲕᲘᲗᲐᲛᲐᲨᲝᲗ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲕᲘᲓᲠᲔ ამ წერილის არსს გაგაცნობდეთ, გვინდა ორი რამ ვთქვათ: **პირველი.** თქვენს გაზეთს იმიტომ მივმართეთ, რომ, ჩვენი აზრით, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ პრესაში გამოქვეყნებულ არაერთ საინტერესო და საგულისხმო წერილს შორის სწორედ „ქომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა რუსთაველის პრემიის ლაურეატის მწერალ გურამ ფანჯიკიძის პრინციპული, შეიძლება ითქვას, გაბედული წერილი ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატიდან გამომდინარე ჩვენს საფეხბურთო პრობლემებზე. **და მეორე.** გთხოვთ გვერწმუნოთ, რომ, როცა ამ წერილს გწერთ, ჩვენ ვიწრო კუთხურ გრძნობებს როდი ვართ აყოლილი, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს დავით ყიფიანისა და ან ნოდარ ახალაცის მისამართით გამოთქმულ საქებარ მოსაზრებებზე. ჩვენ უბრალოდ არ შეგვიძლია არ გამოვხატოთ ჩვენი დიდი კმაყოფილება **იური როსტის** სტატიით, „მოდით, ფეხბურთი ვითამაშოთ“, რომელიც 26 იანვარს დაისტამბა „ლიტერატურნაია გაზეტაში“, მასში ღრმა გულისტკივილი და მზრუნველობაა გამოხატული საბჭოთა ფეხბურთის ბედ-იღბალზე — მის დღევანდელობაზე და მომავალზე. ამ მხრივ წერილი დიდად შთამბეჭდავია და გულში ჩამწვდომი, თითქოს თითოეული ჩვენგანის ფიქრი და ნაზრევი იცოდა ავტორმა. ერთი სიტყვით, ეს არის განცდა ერთ-ერთი მილიონთაგანისა, რომლებიც ფეხბურთს არა მარტო უბრალოდ ეტრფიან, არამედ მისთვის იწვიან და საბჭოთა ფეხბურთის შემდგომ აღმავლაზე დღენიადაგ ფიქრობენ. მაგრამ როსტის უპირატესობა სწორედ ის არის, რომ მან, როგორც ნიჭიერმა ჟურნალისტმა, გამონახა მახვილგონივრული შედარებები, გაგვიზიარა მოსაზრებანი, რომლებსაც თავად წარმძღვარა რუბრიკა— პოლემიკური შენიშვნები. და მაინც, სწორედ მან დაგვიხატა ის სურათი, რომელიც ახლა ყველას მეტად აღელვებს, საბჭოთა ფეხბურთის ნამდვილ ქომაგს კიდევ ერთხელ ჩაფიქრებს, ხოლო მის მესვეურთ კი, ალბათ, გამოაფხიზლებს. როსტისეული ესოდენ დემოკრატიული სტატია, რომელიც მსოფლიოში აღიარებულმა გაზეთმა მოათავსა, უეჭველად ძლიერი ბიძგი საბჭოთა ფეხბურთის განვითარებისათვის. ამა, რა მოშლის იმ რუტინას, რომელშიც ჩვენი ფეხბურთი აღმოჩნდა, თუ არა პირუთვნელი კრიტიკა, საღი მსჯელობა მის ავ-კარგზე და „მოყვარეს პირში ურტახეს“ სულისკვეთება. ათასჯერ მართალია როსტი, როცა ამბობს, რომ „ახლაც ცნობისმოყვარეობით შეეცქერით ფეხბურთის ოლიმპს, მაგრამ შეშფოთებით“... განსაკუთრებით მივაქცევთ ყურადღებას სტატიის იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ქულათა მოპოვებისათვის ყოველად დაუშვებელია მანიპულაციები და ასეთი გზით მოპოვებულ წარმატებას სასიკეთო არაფერი მოჰყვება.

დასასრულ გავიმეორებთ როსტის მიერ ნატოვნად ნათქვამ სიტყვებს: „გვეყოფა თამაში ფეხბურთით. ბოლოს და ბოლოს, მოდით, ფეხბურთი ვითამაშოთ“.

ლ. ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐ,
მწერალი,
გ. ᲢᲝᲠᲠᲐᲫᲔ,
მუსიკათმცოდნე.

ᲛᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲓᲐᲕᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲔᲑᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ მაკასარაშვილი თუ ვლადიმერ მოდოსიანი? ისინი თბილისის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირის უცილობელი ლიდერები არიან 82 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში.

გ. მაკასარაშვილი სახელოვანი მოჭიდავეა, იგი გამარჯვებული და პრიზიორი გამოსულა ბევრ საერთაშორისო ტურნირში. ვ. მოდოსიანი გორელ მოჭიდავეთა სკოლის აღზრდილია. ახლა იგი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს კრასნოიარსკში და აქვე მისდევს ჭიდაობას სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის დ. მინდიაშვილის ხელმძღვანელობით. მაკასარაშვილიც და მოდოსიანიც ტქნრნრზე დაუმარცხებლად გამოდიან.

ჯერჯერობით საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელები თავიანთ წარმატება-წაგებებლობას ანგარიშობენ. მეორე ტურის შემდეგ ბრძოლას გამოეთიშნენ გ. ცეცაძე (48 კილოგრამამდე წონა), ლ. სირაძე (68), მ. ციმაკურიძე (74), სამივენი ასეთი შეჯიბრების დებიუტანტები არიან.

ვ. მესტვირიშვილს იმედი აქვს, რომ თავის მოწაფეებს საპატიო კვარცხლბეკზე იხილავს. კერძოდ, სჯერა, რომ მოლოდინს გაგვიმართლებენ გ. მაკასარაშვილი, სოხუმელი გ. ყურაშვილი (100 კილოგრამამდე), თბილისელები ჯ. ტარიელაძე (100 კილოგრამზე მეტი), ლ. ხაბელოვი (90 კილოგრამამდე) და გ. ქენქაძე (68 კილოგრამამდე), გაგრელი ზ. წოწორია (48 კილოგრამამდე).

დღეს სპორტის სასახლეში ფინალური შეხვედრები გაიმართება.

ᲡᲐᲥᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲒᲘᲢᲐ

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ. ბაქოსა და კიევში განახლდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მატჩები, **ბაქოში** თბილისის „დინამო“ შეხვდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის გუნდს და ამ ძლიერ კოლექტივთან თამაში დაამთავრა ფრედ —8:8. აქ გამართული კიდევ ორი შეხვედრა ასეთი შედეგებით აღინიშნა: ალმა-ათის „დინამო“-ტაშკენტის „მეხნატი“ — 9:5; მოსკოვის „დინამო“-კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილის გუნდი — 10:6.

კიევში ასეთი შედეგები: ლენინგრადის „ბალტიკა“-მავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის გუნდი — 11:5, მოსკოვის უნივერსიტეტის კოლექტივი-ლვოვის „დინამო“ — 11:10,

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. გაიმართა უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კიევლენდარული მატჩი კიევის „სტროიტელსა“ და ლენინგრადის სპარტაკს შორის; იგი დამთავრდა „სტროიტელის“ გამარჯვებით — 83:69.

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: სადგურ ლიხის მიდამოებში. (ხაშურის რაიონი).
Ვ. ᲒᲔᲜᲔᲑᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

კომედიის უბადლო ოსტატი

ᲮᲕᲐᲚ, 31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ Კ. ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 75 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲝ.

ᲐᲙᲐᲙᲘ კვანტალიანს მკვეთრად ინდივიდუალური და მეტად თავისებური აქტიორული სამყარო ჰქონდა, იგი გვაოცებდა კომედიური, გროტესკული სიღებავეების გამოყენების ძრავალფეროვნებით, სილაღით, ემოციურობით, ბარი ენერგიით, რომელსაც მსახიობი იყენებდა თავის კოლორიტულ გმირთა სცენური სიცოცხლის დასამკვიდრებლად. ა. კვანტალიანის შესრულების მანერა გამოირჩეოდა სითამამით, ზოგჯერ თავისი პერსონაჟები პიპერბოლურ გაზვიადებადეც ეკიჟყვედა, მაგრამ პარალელურად შეეძლო სათუთი გრძნობების გამოვლენა. მსახიობი გვაკვირვებდა გარდასახვის ამ უნარით. ა. კვანტალიანის ყოველ მოძრაობას, თითოეულ სიტყვას სიცილის აღმგზნები საოცარი ძალა ახლდა თან და ეს სიცილი იყო საზრიანი, გონების გამხსნელი.

აკაკი, ანუ როგორც მას ეძახდნენ — კაკო კვანტალიანი, ჯერ კიდევ 5-6 წლისა ოცნებდა ყველას არაჩვეულებრივი მუსიკალური სმენით, სუფთა ინტონაციებით და მეტად სასიამოვნო ხმით. ადრეულ ასაკშივე აღმოაჩინდა იმ ტალანტი გასაოცარი უნარი — ყურადღებით დაკვირდებოდა, დაჟინებით ჩააკვირდებოდა მათთან მოსულ მეზობელს, ნათესავს, ნაცნობს, შემდეგ კი თავისი ბავშვური აღქმისა და უნარის შესაბამისად ცდილობდა წარმოსახა მის მიერ „შესწავლილი“ პიროვნება, რასაც უზადოდ ახორციელებდა.

დროთა განმავლობაში პატარა კაკო აფართოებს თავის „შემოქმედებითს ამპლუას“ — ზეპირად თხზავს „პიესებს“, რომლებსაც დგამს კიდეც და თვითონვე ასრულებს. ასეთ ინტენსიურ „მოღვაწეობას“ შეუძლებელია უყურადღოდ ჩაეცლო, და ა. კვანტალიანმა გზა გაუსნა ჭეშმარიტ მოწოდებას — თავისი ბედი საბოლოოდ დაუკავშირა თეატრს.

პირველი აქტიორული ნაბიჯები პროფესიულ სცენაზე აკაკი კვანტალიანმა გადადგა თბილისის ტუშათა თეატრში, რომელსაც მაშინ მიხეილ ჭიაურელი ხელმძღვანელობდა. შემდეგ ცოტა ხანს იმუშავა ქართულ მოზარდ მაყურებელთა ახლად ჩამოყალიბებულ თეატრში, სადაც რამდენიმე საყურადღებო სახე შექმნა. მაგრამ ა. კვანტალიანის, როგორც მსახიობის აღმავალი გზა იწყება კოტე მარჯანიშვილთან. დიდ რეჟისორთან შემოქმედებით კონტაქტი ფასდაუდებელ სკოლად იქცა დამწყები მსახიობისათვის. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ა. კვანტალიანმა შეასრულა როლები, რომლებიც არა მარტო მის ბიოგრაფიას ამშვენებს, არამედ ქართული აქტიორული ხელოვნების ოქროს ფონდს შეადგენს.

კოტე მარჯანიშვილი იმდენად აფასებდა ა. კვანტალიანის ნიჭს, რომ ქუთაისში გადასვლის პირველივე წელს ოცნებობდა განეხორციელებინა სერვანტესის „დონ კიხოტი“, რაკი ეგულებოდა დონ კიხოტისა და სანჩო პანსას ბრწყინვალე შემსრულებლები უშანგი ჩხეიძისა და აკაკი კვანტალიანის სახით. ამ წარმატებისა იმხანად ბოლომდე ცოტას თუ სჯეროდა, გარდა თვით მარჯანიშვილისა, რომელმაც ნაწარმოების პიესად გადაკეთება რუსეთში შეუკვეთა, თავადაც შეუდგა „დონ კიხოტის“ დამზადებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ოცნება განუხორციელებელი დარჩა.

1933 წლიდან, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე აკაკი კვანტალიანი კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მუშაობდა. პირველი დიდი გამარჯვება ამ თეატრის სცენაზე მსახიობს მოუტანა პ. კაკაბაძის „ჯოლეფურნის ქორწინებამ“, რომელშიც



მოხუცი გლეხის — ხახულის განუმეორებელი სახე შექმნა. მისი შესრულება გამოირჩეოდა დიდი სიმართლით, გამახვილებული კომედიურობისა და ლირიკული განწყობილების შერწყმით, ომპროვიზაციული სახიერებით.

შესანიშნავი იყო ა. კვანტალიანის ზემლიანიკა გოგოლის „რევიზორში“, მას ახასიათებდა გამომგონებლობა, ნიშანდობლივის სურათოვნად წარმოსახვა, მსახიობი ისე მეტყველად მოძრაობდა სცენაზე, თითქოს განსახიერების მთელი დედააზრი მოძრაობაშიაო.

დიდი სიმართლით დაგვიხატა ა. კვანტალიანმა ნიკიფორე ფერაძის, ამ გულკეთილი, მაგრამ „ბუზღუნა“ მამის პორტრეტი მ. ბარათაშვილის პიესაში „ჭრიჭინა“. ეს როლი თავისი ბუნებით მკვეთრად განსხვავდებოდა კვანტალიანის მიერ ადრე შექმნილი გმირებისაგან. ერთი შეხედვითაც ნიკიფორეს სახე არ იძლეოდა კომედიის გაშლის შესაძლებლობას. ა. კვანტალიანის რეშენით იგი უფრო სერიოზული, დარბაისელი როლების შემსრულებელ მსახიობს უნდა ეთამაშა. ამიტომაც მან თავიდან უარიც კი თქვა ამ როლის შესრულებაზე. სახეზე მუშაობამ გაფანტა ყოველგვარი ეჭვი. მსახიობს ყოველდღიურად ისეთი მეტყველი შტრიხები შეეკერნა მომავალი გმირის ხორცშესასხმელად, რომ საბოლოოდ ნიკიფორეს სახე არათუ მოერგო კვანტალიანის აქტიორულ ბუნებას, არამედ ამ როლის სხვა, უკეთესი შემსრულებელი უკვე ძნელი წარმოსადგენიც კი იყო.

წარმატება ხვდა ა. კვანტალიანის მიერ განსახიერებულ ლეონიდ კამარელს კ. ბუაჩიძის ტრაგიკომედიიდან „ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე“. კამარელი დრამატურგმა იმ მეცნიერთა რიცხვს მიაკუთვნა, რომელნიც დიდ ცოდნასა და ერუდიციას ფლობენ, ავტორიტეტიც მოუხეეჯავთ, მაგრამ ამ ღირსებებთან ერთად ცოდვილნიც არიან საკუთარი მეცნიერული სინდისის წინაშე. ისინი ვერ გაქცევიან ცხოვრების მავნე ცდუნებას, რითაც საბჭოთა მეცნიერის მაღალ ღირსებას ჩრდილოვანი საბურველით ფარავენ. მსახიობმა, ამ შემთხვევაში უგულვებელყო მამხილებელი პათოსი და სარკაზმი. იგი მოერიდა კამარელს განწირვას. კვანტალიანის ლეონიდ კამარელი ნათლად გვაგრძნობინებდა, რომ მისი ჭეშმარიტების გზიდან გადახვევა უთუოდ დროებითი ხასიათისა იყო, მის ბუნებაში სიკეთისა და სამართლიანობის გამოვლენა უფრო ჭარბობდა. სახის გახსნის ამგვარი ინტერპრეტაცია საკმაოდ შეესაბამებოდა ავტორისეულ ჩანაფიქრს.

მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე აკაკი კვანტალიანმა რამდენიმე პიესა დადგა. რეჟისორაშიც კომედიის ეტანებოდა, რომელშიც უფრო ლაღად გრძნობდა თავს, ავლენდა ამ ჟანრისათვის ნიშანდობლივ ელასტიკურობასა და სიცხოველეს.

ერთ-ერთი საუკეთესო დადგმა, რომელიც მსახიობმა სიცოცხლის ბოლო წლებში განახორციელა, პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯარა“ იყო. დადგმასთან ერთად ამ სპექტაკლში ა. კვანტალიანმა განასახიერა კომედიის მთავარი გმირი ლომპიანე. პოლიკარპე კაკაბაძესთან ამ ახალმა შეხვედრამ კვლავ გამარჯვება მოუტანა მსახიობს. კვანტალიანმა მოგვცა გადაგვარებული, სულით ხორცამდე გახრწნილი ხელმძღვანელი პირის ფრიად მეტყველი, განზოგადებული სახე.

სრულიად ცალკე უნდა დავაყენოთ მსახიობის უკანასკნელი ნამუშევარი — ძია ბაღდასარი ა. პარონიანის ამავე სახელწოდების პიესიდან, რომელშიც ა. კვანტალიანმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა თავის აქტიორულ შესაძლებლობათა დიდ პოტენციალში, გამოავლინა რა მანამდე უხილავი გამომსახველობითი ხერხები. მართალია, ადრეც არაერთხელ მოუცია დრამატული და კომიკური ფერების ურთიერთშერწყმის ცდები (მაგალითად — სეით მოწყობილი, ი. ვაკელის „შურაში“); ნამდვილი დამაჯერებლობით წარმოუსახავს დრამატული ხასიათის როლები: სტეფანე, პეტრიჩი (ი. გალანის „სიყვარული გარიყრაქზე“), ჯემს ბროუდი (ს. ბეგიაშვილის „ქერპი“ — ა. კრონინის „ბროუდის ციხედარბაზის“ მიხედვით) და სხვა, მაგრამ პარონიანის კომედიაში მსახიობმა განსაკუთრებული ხაზგასმით გვიჩვენა გმირის განცდების ახალი კუთხით მოწოდების ცდა.

კინოხელოვნება ა. კვანტალიანის შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, სადაც არანაკლები ძალით იჩინა თავი მსახიობის შესანიშნავმა კომედიურმა ნიჭმა, გარდასახვის . უნარმა. კვანტალიანმა ორმოცამდე სახე შექმნა ეკრანზე, რითაც უთუოდ გაამდიდრა ქართული კინოხელოვნება. მის მიერ შექმნილ სახეთა უმრავლესობა ეპიზოდური ხასიათისა იყო, მაგრამ მსახიობი ისეთი ნათელი ფერებით გვიხატავდა მათ, იმდენი სიხალისე შეეკერნა თუნდაც ერთფრაზიან როლში, რომ შეუძლებელი იყო დიდხანს არ დაგმახსოვრებოდათ მისი ნაოსტატარი.

ა. კვანტალიანის შემოქმედების განუყოფელი ნაწილი იყო ესტრადა, ამ ჟანრში მსახიობმა ისე ნაყოფიერად იმუშავა, რომ იგი უცილობლად უნდა მივიჩნიოთ ქართული ესტრადის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ჯერ კიდევ 1942 წელს ა. კვანტალიანმა ალექსანდრე გომელაურთან ერთად შექმნა პირველი ქართული საესტრადო ორკესტრი, რომელსაც დიდი ინტერესით შეხვდა ქართველი მაყურებელი. ა. კვანტალიანისა და ა. გომელაურის თაოსნობით 1944 წელს ჩამოყალიბდა, აგრეთვე, „მინიატიურების ანსამბლი“, სადაც გაერთიანებული იყვნენ კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წამყვანი მსახიობები ალექსანდრე ყორეოლიანი, სესილია თაყაიშვილი, გიორგი შავგულიძე, მერი დავითაშვილი, ლიზიკო ვაჩნაძე და სხვები. მართალია, ამ ანსამბლმა ცოტა ხანი იარსება, მაგრამ თავისი კვალი სამუდამოდ აღბეჭდა ქართული ესტრადის ისტორიაში.

გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ა. კვანტალიანი წლების მანძილზე ამშვენებდა ქართულ ესტრადას. მისი მონაწილეობის გარეშე გამართული კონცერტები როგორდაც კარგავდნენ ჩვეულ ელფერს.

აკაკი კვანტალიანის ნათელი ტალანტი და ის დიდი წვლილი, რომელიც მან შეიტანა ქართული ხელოვნების აღორძინების გზაზე, მუდამ შემორჩება ერთ-ერთ ნათელ სვეტად ჩვენი ერის სულიერი კულტურის ისტორიას.

ᲕᲐᲟᲐ ᲫᲘᲒᲣᲐ.

● ●

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: აკაკი კვანტალიანი ხახულის როლში (პ. კაკაბაძის („ჯოლეფურნის ქორწინება“).







ᲣᲜᲘᲢᲥᲕᲝᲓ
ლ. ᲛᲐᲠᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ.

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

როგორ ფასობს მშვიდობა!

ᲓᲦᲔᲡ, როდესაც მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის უმთავრესი საზრუნავია ქვეყნად მშვიდობის დაცვა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცება, ურიგო არ იქნებოდა გავცნობოდით ზოგიერთ მონაცემს, ომებით გამოწვეულ მსხვერპლთა რაოდენობასა და ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ გაღებულ ხარჯებზე.

გასული საუკუნის სტატისტიკით, XVIII საუკუნეში ევროპელებულმა ქვეყნებმა ომებში 19 მილიონზე მეტი ადამიანი დაკარგეს.

დოქტორ ლანოს გამოანგარიშებით საფრანგეთმა ყირიმის ომში დაკარგა 95.615 კაცი, იტალიასთან ლაშქრობისას კი 12.173 ჯარისკაცი.

სენატში შემონახული ცნობებით, მარტო ნაპოლეონ ბონაპარტის ცხრაწლიანი აღზევება საფრანგეთს 2.200 ათას ჯარისკაცად დაუჯდა, ხარჯებმა კი 30 მილიარდს მიაღწია.

ლონდონის გაზეთების ცნობებით, ყირიმის ომში ინგლისმა 750 ათასი ჯარისკაცი დაკარგა.

საფრანგეთ-პრუსიის ომში 60 ათასი გერმანელი და 155 ათასი ფრანგი დაიღუპა, ხოლო ხარჯებმა 5.510.000.000 რუსულ მანეთს მიაღწია.

ამერიკამ და ევროპის ქვეყნებმა 25 წლის მანძილზე (1853-1871 წლები) დაკარგეს 1.948.000 ჯარისკაცი, ხარჯებმა კი 2.413.000.000 გირვანქა სტერლინგი შეადგინა.

ვენის გაზეთების ცნობით, XVI საუკუნიდან XIX საუკუნის ბოლომდე ევროპაში 286 ომია აღნუსხული. აქედან 44 დამპყრობლური გახლდათ, 41 ტახტის გამო ჩამოვარდნილმა შუღლმა გამოიწვია, 30 — მოკავშირეთა ძალნამ, 28 ატყდა რელიგიის მიზეზით და სხვ.

სტატისტიკოსებმა ისიც კი აღნუსხეს, რომ გასულ საუკუნეში ევროპის ომებში დახარჯული თანხა ქაღალდის ფულად რომ გადაეხურდავებინათ და საზიდრებზე დაეწყოთ, მის დაძვრას 400 ცხენი დასჭირდებოდა, ხოლო თუ ოქროსი იქნებოდა, ამ ტვირთის გადატანას 15 ათასი ცხენი მოუნდებოდა.

XIX საუკუნეში თურქეთს ომებში გაუტარებია 97 წელი, ესპანეთს — 32, საფრანგეთს — 27, რუსეთს — 24, ინგლისს — 21, გერმანიას — 14, შვეიცარიას — 10, დანიას — 9. როგორც ჩანს, XIX საუკუნე არც ისე მშვიდობიანი ყოფილა.

შვეიცარიელმა მეცნიერმა ჟან-ჟაკ ბაბელმა ელექტრონული გამომთვლელი მანქანით გამოიანგარიშა, თუ რა კატასტროფული ზარალი მოუტანა ჩვენს პლანეტას ომებმა და გამალებულმა შეიარაღებამ. ამ მონაცემებით, 5550 წლის მანძილზე (აქედან კაცობრიობამ მშვიდობიანად იცხოვრა 292 წელი), დედამიწაზე მოხდა 14.513 დიდი და მცირე ომ